ევრაზიის აქტიური კიდის ფანეროზოულ გეოდინამიკას და მის ეტაპობრივ კავშირს მეტამორფიზმთან, ვულკანიზმთან, პოსტვულკანურ პროცესებთან და მეტალოგენიასთან განვიხილავთ ჩვენი მრავალწლიანი კვლევის ობიექტის კავკასიის, ირანის, თურქეთის და კარპატ-ბალკანეთის რეგიონის ფარგლებში. ფაქტიური მასალა და კვლევის მიღებული შედეგების განხილვა მოტანილია ამ ბოლო წლებში გამოქვეყნებულ შრომებში (Gugushvili 2014, Gugushvili et. al., 2016, Moritz et al., 2016). აღსანიშნავია, რომ საკვლევი რეგიონი წარმოადგენს შესაბამის ობიექტს ფანეროზოული გეოდინამიკური განვითარების კავშირის დასადგენად მეტამორფიზმთან, ვულკანიზმთან, პოსტვულკანურ პროცესთან და მეტალოგენიასთან. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები ასახულია შემდეგ შრომებში: Adamia et al., 1977, 2011, 2016; Baba-Zade and dr., 2015; Gamkrelidze, Shengelaya, 2005; Gamkrelidze et. al., 2015; Jamali et al., 2010; Lordkipanidze et.al., 1988; Zakariadze et. al., 1983; Gugushvili et. al., 2000, 2002, 2010; Gugushvili, 1980; G.Tvalchrelidze, 1984; A.Tvalchrelidze, 1987; Sxirtladze, 1965; Beridze and Buadze, 1977; von Quadt et al., 2005; Moritz et al., 2004, 2006, 20016; Kekelia and dr., 1993, 2000; Nadareishvili, 1999; Tatiashvili, 1970; N.Dzozenidze, 1972, 1975; Okay and Tüysüs, 1999; Okay, 2000; Yigit, 2009; Kazmin et al., 1986, 2000; Güner, 1989; Imamverdiev, 2001; Jankovich, 1977; Muрадян, 1987; Рамазанов, 1992; Strashimirov et.al., 2002; Sosson et al., 2010; Аревадзе и др., 1983; მონაცემები ამ შრომებიდან გაანალიზებული და გამოყენებულია ჩვენს კვლევებში.

სუბდიუქციისა და ტეთისის ოკეანის კოლიზიის პროცესში ხდებოდა ტერეინების მოწყვეტა აფრო-არაბეთის კონტინენტის პასიური კიდიდან და მათი მიგრაცია ევრაზიის აქტიური კიდის მიმართულებით. სუბდიუქციისა და კორვენგენციის პროცესში ტერეინები ერთმანეთისგან ოკეანური შტოებით იყო გამოყოფილი. კორვენგენციამ ამ შტოების კოლიზია განაპირობა, ტერეინებს შორის სუტურების წარმოშობით. ოკეანის დახურვით დასრულდა პრეკოლიზიური განვითარების ეტაპი.

პრეკოლიზიური განვითარების პროცესში სუბდუქციამ განსაზღვრა კუნძულთა რკალური, ინტერარკული, ბეკარკული და ოკეანური ვითარებები. სუტურების ფორმირების შემდეგ სრულდება პრეკოლიზიური განვითარება და იწყება პოსტკოლიზიური განვითარების ეტაპი, გამოწვეული აფრო-არაბეთის კონტინენტის წნებით ევრაზიულზე (Adamia et al., 2016), რომელიც გამოვლინდა ოროგენეზისში, ნაოჭა-სხლეტვის სტრუქტურების ფორმირებაში, ოროგენულ მაგმურ აქტივობასა და პოსტკოლიზიურ მადანწარმოშობაში.

საკვლევ რეგიონში სუტურების და მათი განშტოების ასაკი მერყეობს გვიან ცარცულიდან - გვიან ეოცენურამდე (ნახ. 2). ზაგროს-ბიტლისის სუტურა გამოყოფს ტაურიდ-ანატოლიდებისა და ცენტრალური ირანის ტერეინებს არაბეთის პლატფორმისაგან. ჰოივანის სუტურა (ზაგროსის სუტურის განშტოება) ჰყოფს ირანისა და ტაურიდ-ანატოლიდების ტერეინებს. ანკარა-ერზინჯან-სევანის სუტურა გამოჰყოფს პონტიდებს, ართვინ-ბოლნისის და ლოქ-ყარაბახის ზონებს ტაურიდ-ანატოლიდების ბლოკისგან და ირანის პლატფორმისაგან (ნახ. 2). პონტიდებში ანკარა-ერზინჯან-სევანის სუტურის გაგრძელებას ინტრაპონტიდების სუტურა წარმოადგენს. (ნახ. 3), რომლის კოლიზია ზედა ეოცენში დასრულდა (Güner, 1980; Kazmin et al; 2000).

პრეკოლიზიური ვითარება და მასთან დაკავშირებული მეტამორფიზმის, ვულკანიზმის, პოსტვულკანური აქტივობის და ოქრო-სპილენძპოლიმეტალური მადანწარმოშობის პროცესი წინ უძღვდა სუტურების ფორმირებას, ხოლო პოსტკოლიზიური ვითარება მათი ფორმირების შემდეგ იწყება. სუტურების ფორმირების ასაკი ერთმანეთისგან განსხვავდება, ამდენად პრეკოლიზიური ეტაპის დასასრული და პოსტკოლიზიურის დასაწყისი მათ ასაკს შეესაბამება (Gugushvili 2015).

1.1. სუბდუქციისა და რეგიონული მეტამორფიზმის

ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ

ფანეროზოულში სუბდიუქციის პირველ ეტაპთან, ანდეზიტური მლლვარის გამოლლობამდე და კირტუტე ვულკანიზმამდე, დაკავშირებულია რეგიონული მეტამორფიზმის პროცესი. იგი წარმოდგენილია მაღალტემპერატურული ალმანდინ-ამფიბოლიტური და გრანულიტური ფაციესებით, რომელიც ფლუიდების ტემპერატურის ვარდნასთან ერთად, მწვანექვისებრ და ცეოლითურ და ფილიტურ მეტამორფიზმში გადადის. მეტამორფიზმი უკავშირდება სუბდიუცირებული ფილის მანტიაში დაძირვის პირველ ეტაპს. მეტამორფიზმის ტემპერატურა $350-750^{\circ}\text{C}$ ფარგლებშია. $700-750^{\circ}\text{C}$ ხდება ლითოსფეროდან გრანიტული მაგმის გამოლლობა. ამგვარად ყალიბდება გრანიტ-მეტამორფული კომპლექსი, ხოლო ტემპერატურისა და სითბური ნაკადის შემდგომი ზრდის შედეგად, $1000-1100^{\circ}\text{C}$ - მდე, იწყება ანდეზიტური მლლვარის გამოლლობა, კუნძულთა რკალებისთვის დამახასიათებელი კირტუტე ვულკანიზმით. როგორც საკვლევ რეგიონში, ისე მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც ფიქსირდება მეტამორფული კომპლექსების მონაცვლეობა კირტუტე ვულკანურ სერიებთან.

კავკასიის რეგიონში, კავკასიონის კრისტალურ გულში, მეტამორფული კომპლექსი დევონ-ადრე კარბონით თარიღდება, შუა კარბონში მას მოსდევს დიზის სერიის ანდეზიტ-დაციტ-რიოლიტური ვულკანური აქტივობა (Адамия и др., 1977), რომელიც უკავშირდება ანდეზიტური მლლვარის გამოლლობას სუბდიუცირებული ფილიდან. მეორე მაგალითი ცნობილია ამიერკავკასიის მთათაშუაეთში. აქ, ძირულის პალეოზოურ გრანიტ-მეტამორფულ კომპლექსზე, განლაგებულია გვიანპალეოზოური ნარულის კირტუტე ვულკანური წყება (ქვედა ტუფიტები), რომელიც კუნძულთა რკალურ ვითარებას უკავშირდება (Adamia et al., 2016).

აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონაში კირტუტე ვულკანურ აქტივობას წინ უძღვდა რეგიონული მეტამორფიზმი, რაც დასტურდება ტოლეიტებში დიდი სიღრმიდან შეტაცებული ალმანდინ-ამფიბოლიტური მეტამორფიტების მსხვილი ბლოკების

არსებობით აჭარა-თრიალეთის დასავლურ სეგმენტში, დადგენილი მ.ლორთქიფანიძის და გ.ზაქარიაძის მიერ (Лордкипанидзе, Закариадзе, 1978).

გარდა ამისა, შეიძლება მოვიტანოთ მრავალი მაგალითი გეოლოგიური ლიტერატურიდან, რომელიც ადასტურებს, რომ ანდეზიტური მაგმის გამოლობას სუბდუცირებული ფილიდან, წინ უძღვდა რეგიონალური მეტამორფიზმი (Гугушвили, 1980). ამგვარი მოვლენები ცნობილია უელსში (ლეიკის ოლქი), სადაც ამფიბოლიტებით წარმოგენილი მეტამორფიზმი, რომლის ასაკი 475-420 მლნ წელს შეესაბამება, წინ უძღვდა კირტუტე საშუალო და მჟავე შედგენილობის ვულკანურ აქტივობას (Read, 1961). მეორე მაგალითი ცნობილია დასავლეთ ევროპის ჰერცინულ სარტყელში (მოლდანუბის სტრუქტურული ზონა), სადაც მიგმატიტები, რომელთა ასაკი 340-320 მლნ წელია, გადაფარულია კარბონული მოლასით, რომელიც მძლავრ ტრაქიანდეზიტურ ვულკანურ სერიას შეიცავს (Сатон, 1967). ჯ.სატონს მოჰყავს მეორე მაგალითიც შოტლანდიიდან, სადაც ქვედა დევონური კირტუტე ვულკანური სერია თავზე ადევს რეგიონული ამფიბოლიტებით წარმოდგენილ კომპლექსს, რომელმაც 420-400 მლნ წლის წინ განიცადა მეტამორფიზმის ბოლო, კალედონური ეტაპი. ამავე დროს, ზემოაღნიშნული ვულკანური სერია გაკვეთილია გრანიტული შტოკებით, რომელთა ასაკი 410-400 მლნ წელია. გარდა ამისა, წყნარი ოკეანის რკალში დადგინდა, რომ მძლავრ ანდეზიტურ ვულკანურ სერიას ქვეშ უდევს რეგიონალური მეტამორფიზმის სარტყელი (Miashiro, 1961).

ცნობილია, რომ რეგიონული მეტამორფიზმის ფორმირების ტემპერატურა $350-750^{\circ}\text{C}$ ფარგლებში მერყეობს, ხოლო ანდეზიტური მაგმის გამოლობა სუბდუცირებული ფილიდან $1000-1100^{\circ}\text{C}$ უდრის. მაშასადამე, აქტიური კონტინენტური კიდის მობილური ზონების რეგიონულ მეტამორფიზმს აქვს სითბური ნაკადის ზემოქმედებით განპირობებული პროგრესული მიმართება, რომელიც უმეტესად ანდეზიტური მაგმის გამოლობით სრულდება. თუ პოსტმაგმური მეტასომატიზმი

მაგმური აქტივობის თანადროულია და ასრულებს მას, მობილური ზონების რეგიონალური მეტამორფიზმი მაგმის გამოლლობის წინმსწრები პროცესია.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა რეგიონული მეტამორფიზმის ეპიზოდები წინ უძღვის ანდეზიტურ ვულკანურ აქტივობას, თუმცა აღსანიშნავია, რომ ყოველი მათგანი არ მთავრდება სუბდუცირებული ფილიდან ანდეზიტური მაგმის გამოლლობითა და ვულკანიზმით. ზოგჯერ სითბური ნაკადის ზემოქმედება არ აღემატება ამფიბოლიტური და გრანულიტური ფაციესის ფორმირებას, რომელიც დედამიწის ზედაპირისკენ აღმავალი სითბური ნაკადის თანდათან ჩაქრობის პროცესში ტრანსფორმირდება ეპიდოტ-ამფიბოლიტურ, პრენიტ-პუმპეილიტურ, მწვანე ფიქლებისა და ცეოლიტურ ფაციესებში (Гугушвили, 1980). ანალოგიურად, ოკეანური ქედების (კონსტრუქციული ზონები) მესამე გეოფიზიკურ შრეში განვითარებულია მაღალტემპერატურული ალმანდინ-ამფიბოლიტური მეტამორფიზმი, ფორმირებული 6 კმ სიღრმეზე 4000 ბარის წნევისა და 550°C მინიმალური ტემპერატურის პირობებში, ანომალურად მაღალი სითბური ნაკადის ზემოქმედებით (Аumento и др., 1973), იგი წინ უძღვის მანტიური დიაპირიდან მეორე გეოფიზიკური შრის ბაზალტების ამოფრქვევას, რომელსაც თან სდევს ეპიდოტ-ცოიზიტ-აქტინოლითური პროპილიტიზაცია. მაშასადამე, აქაც რეგიონული მეტამორფიზმი მესამე გეოფიზიკურ შრეში, წინ უძღოდა მეორე გეოფიზიკური შრის ოფიოლიტების ამოფრქვევას. რეგიონული მეტამორფიზმის ხასიათი დესტრუქციულ და კონსტრუქციულ ზონებში ერთმანეთისაგან განსხვავდება. დესტრუქციულ (კუნძულთა რკალურ) ზონებში იგი წარმოდგენილია გრანულიტ-ამფიბოლიტური ფაციესით, რომელიც აღმავალ ჭრილში გადადის ეპიდოტ-ამფიბოლიტურ, პრენიტ-პუმპეილიტურ, მწვანექვისებრ და ცეოლითურ ფაციესებში. კონსტრუქციულ ზონებში, ოკეანურ ვითარებაში არ არის დადგენილი ამფიბოლიტებზე უფრო დაბალტემპერატურული მეტამორფიტები, რაც განპირობებულია მაღალი სითბური ნაკადით და მცირე სიღრმეზე შემოჭრილი მანტიური დიაპირით. სითბური ნაკადი ბეკარკულ და ოკეანურ ვითარებაში 2.5-8.30 ს.ნ.ე.-ს შეესაბამება (Miyashino, 1972),

ხოლო დესტრუქციულ, კუნძულთა რკალურ ზონებში იგი 0.7ს.ნ.ე.-ს არ აღემატება (Хатертон, 1978). აღსანიშნავია, რომ რეგიონალური მეტამორფიზები, როგორც მობილურ, ისე ოკეანურ ზონაში, განსხვავებით პროპილიტებისაგან, ხასიათდება ფიქლებრივი და გნეისური ტექსტურით, სრული განკრისტალებით, სადაც პირველადი ქანის სტრუქტურა და მინერლაცია შედგენილობა არ ფიქსირდება. ამავე დროს, ისინი ხასიათდება კომპონენტების შიდა.

1.2. ფანეროზოური გეოდინამიკის კავშირი ვულკანიზმთან,

პოსტვულკანურ პროცესთან და მადანწარმოშობასთან.

ფანეროზოური გეოდინამიკის, ვულკანიზმის და მეტალოგენის ურთიერთკავშირი საკვლევ რაიონში, დეტალურდ არის აღწერილი მონოგრაფიაში (Gugushvili, 2015). მიღებული შედეგები მსოფლიოს სხვა რეგიონებში აღწერილ მონაცემებთან არის შეჯერებული. სხვადასხვა გეოდინამიურ ვითარებაში მადანწარმოშობის პროცესში მეტალთა წყაროს შესახებ გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები. კერძოდ, ფანეროზოურში სპილენძის წყაროდ ზედა მანტიაა მიჩნეული, თუთიის წყაროდ - ბაზალტური ქერქი, ხოლო ოქროს, ტყვიისა და იშვიათ მეტალთა (Sb, W, Mo Hg) წყარო სიალური ქერქია (Gugushvili, 2010, 2015).

ფანეროზოური მეტალოგენის არსის წვდომისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეტალთა წყაროს განსაზღვრა მადანწარმოშობის პროცესში. წყაროს განსაზღვრის გასაღები არქეულ-პროტეროზოური (პრეკამბრიული) და ფანეროზოური გეოდინამიკური განვითარებისა და მეტალოგენის ურთიერთ შედარებაში უნდა ვეძებოთ.

მადანწარმოშობა პალეოპროტეროზოური და არქეული პლასტიკური ლითოსფეროს ფორმირების პროცესში პლუმურ გეოდინამიკას უკავშირდება და განპირობებულია ოქროს, პოლიმეტალების (თუთიისა და ტყვიის) მიგრაციით მანტიიდან ლითოსფეროში და გრანიტოიდულ კრატონებში (Goldfarb et al., 2001) ოქროსა და

პოლიმეტალების საბადოების გენეზისი აქ იუვენილური კონტინენტური ქერქის ფორმირებას უკავშირდება (Goldfarb et al., 2001, Groves et al., 2005).

პრეკამბრიული გეოდინამიკისგან და მეტალოგენისგან სრულიად განსხვავდება ფანეროზოური, რომელიც უკვე მკვრივ ლითოსფეროს უკავშირდება და თანამედროვე პლეიტტექტონიკითაა განპირობებული. ფანეროზოურში თანამედროვე სახის ლითოსფერო უკვე ჩამოყალიბებულია და შედგება სიალური და ბაზალტური ქერქისგან და მკვრივი ზედა მანტიისგან. ამ დროს უკვე დასრულდა ოქროს, იშვიათ ლითონების თუთიის და ტყვიის მიგრაცია ზედა მანტიიდან ლითოსფეროში, ხოლო სპილენძი ჯერ კიდევ შემორჩა ზედა მანტიას . იგი ოქროსთან, ტყვიასთან, თუთიასთან და იშვიათ მეტალებთან ერთად მონაწილეობს ფანეროზოურ პრეკოლიზიური და პოსტკოლიზიური მადანწარმოშობის პროცესში.

საკვლევ რეგიონში აფრო-არაბეთისა და ევრაზიის კონტინენტების კონვერგენცია განპირობებულია ტეთისის ჩრდილოვერგენტული სუბდუქციის პროცესით, რომელმაც პასიური აფრო-არაბული კიდიდან ტერეინების მოწყვეტა და მათი ჩრდილოეთისკენ მიგრაცია გამოიწვია. სუბდუქციის პროცესმა, საკვლევ რეგიონში პრეკოლიზიური განვითარება განაპირობა, რომელიც ოკეანის კოლიზითა და ტერეინებს შორის სუტურების ფორმირებით დასრულდა. სუბდუქციის პირველი ეტაპი მიმდინარეობდა სუბდუცირებული ფილის დეფორმაციისა და დეტაქტინტის გარეშე და მას პირობით ნორმალურ სუბდუციას ვუწოდებთ. შემდეგ ეტაპზე სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციის შედეგად მანტიური დიაპირის შემოჭრამ და სპრედინგმა ბეკარკის და ინტერარკის ფორმირება განაპირობა. მანტიური დიაპირის შემოჭრის შემდგომი გაძლიერების შედეგად სპრედინგი ძლიერდება და ბეკარკი მცირე ოკეანური ვითარების სტადიაში გადადის. აღწერილ ვითარებებს ერთმანეთისგან განსხვავებული მაგმატიზმი და მეტალოგენია ახლავს და მათთან დაკავშირებული ოქრო-პოლიმეტალური მადანწარმოშობა გვაძლევს მეტალთა წყაროს განსაზღვრის საშუალებას.

წარმოდგენილი მოდელის ილუსტრაცია შესაძლებელია საკვლევი რეგიონის გეოდინამიკური განვითარების და მასთან დაკავშირებული მეტალოგენის მაგალითზე. ტეთისის ოკეანის ჩრდილოვერგენტული სუბდუქცია აქ გვიან პროტეროზოურში იწყება და გვიან ეოცენური კოლიზიითა და სუტურირებით სრულდება.

ნორმულ სუბდუქციასთან, კუნძულთა რკალურ ვითარებასთან დაკავშირებული მეტალოგენია საკვლევ რეგიონში მკაფიოდ გამოიხატა კავკასიაში ზედა იურულ და ცარცულ კირტუტე ვულკანიზმთან დაკავშირებულ მადანწარმოშობაში, კერძოდ, ზედა იურული ასაკის გედაბეკის, ალავერდის, შამლუღის, ყარადაღის, ჩოვდარის და გოშას ოქრო-სპილენძპოლიმეტალური ტიპის პორფირულ და ეპითერმულ საბადოებზე. ცარცული ასაკის კირტუტე ვულკანურ აქტივობას კუნძულთა რკალურ გარემოში უკავშირდება მადნეულის კვანძისა და დაგკესამანის ჯგუფის ოქრო-სპილენძპოლიმეტალური და მცირე სულფიდური ოქროს გამადნება კავკასიაში, სპილენძ-პოლიმეტალური პორფირული და კუროკოს ტიპის ოქრო-სპილენძპოლიმეტალური საბადოთა ჯგუფი მადენკოი, ლაპანოსი, მურგული, ჩერატეპე, გიუზელაილა, დერეკოი და სხვები აღმოსავლეთ პონტიდებში (იხ.ნახ.6.). ნორმული სუბდუქციით კონტროლდება ბალკანების პანაგიურიშტეს მადნიანი რაიონის საბადოები ჩელოპეჩი, ელატსიტე, ელშიცა და სხვები, წარმოდგენილი პორფირული ოქრო-სპილენძპოლიმეტალური და ეპითერმული მაღალსულფიდური ოქროს გამადნებით (Moritz et al., 2004; Von Quadt et al., 2005), სერბეთის ტიმოკის მადნიანი რაიონის სპილენძ-პორფირული და მცირე სულფიდური საბადოთა ჯგუფი - ბორი და მაიდანპეკი (Jancovich, 1977; Moritz et al., 2004), რუმინეთის კარპატების სპილენძ-პორფირული და ოქროს ეპითერმული უსულფიდო გამადნება ბაია-მარეს და ალმაზ-სტანიჯას საბადოებზე (ნახ.5.) (J.Popă and, S.Popă, 2005). ნორმულ სუბდუქციასთან დაკავშირებული მაგმატიზმი, ვულკანიზმი და მეტალოგენია და საბადოთა შედარებითი ანალიზი ვ.გუგუშვილის (Gugushvili, 2015) შრომაშიც არის განხილული.

ბოლნისის და პანაგიურიშტეს მადნიან რაიონებში გვიან ცარცში ნორმული სუბდუქციის ბეკარკის ადრეულ სტადიაში გადასვლა ფიქსირდება (Gugushvili, 2015; Moritz et al., 2004; Von Quadt et al., 2005), რაც სუბდუცირებული ფილის დეფორმაციასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელმაც მანტიური მასალის შემოჭრა და სპრედინგი განაპირობა. ეს მოვლენა რაიონის გეოლოგიურ განვითარებაში, მაგმატიზმში და მეტალოგენიაში გამოიხატა. სუბდუცირებული ფილის დეფორმაცია და მანტიური დიაპირის შემოჭრის პირველი ეტაპი მეტალოგენიის ხასიათშიც აისახა. ბოლნისის მადნიან რაიონში ორი მადნიანი კვანძი ჩამოყალიბდა: მადნეულისა და ბექთაკარის (ნახ.5.) (Gugushvili, 2015). მადნეულის კვანძის ფორმირება სუბდუქციის ნორმულ ეტაპს უკავშირდება. კვანძის გამადნების ასაკი 88-90 მლნ. წელია. გამადნება ძირითადად პორფირულ და ეპითერმულ ტიპს მიეკუთვნება. აქ მინერალიზაციის ორი ტიპი ისახება: საკუთრივ სულფიდური-ოქრო-სპილენდპოლიმეტალური და უსულფიდო ოქროს გამადნება, რომელიც კვარც-ქალცედონურ და კვარც-ბარიტულ ძარღვებსა და შტოკვერკებს უკავშირდება. გამადნებას აქ ზონალობა ახასიათებს: ქვედა ზონა საკუთრივ სულფიდური იქრო-პოლიმეტალური მადნითაა წარმოდგენილი, ზედა - უსულფიდო ოქროს მადნით (Gugushvili et al., 2001; Gugushvili, 2015).

მადნეულის კვანძი რღვევით ემიჯნება ბექთაკარის კვანძს. გამადნების ასაკი ბექთაკარის კვანძში 79-81 წლის ფერგლებშია. გამადნება აქაც საკუთრივ სულფიდური იქრო-სპილენდპოლიმეტალური მინერალიზაციითაა წარმოდგენილი, ხოლო უსულფიდო ოქროს გამადნება კვარც-კალიშპატურ მეტასომატიტებს უკავშირდება. საკუთრივ სულფიდური და უსულფიდო ოქროს გამადნება, განსხვავებით მადნეულისგან, არ ხასიათდება ზონალობით, ხოლო ოქრო-სპილენდპოლიმეტალური გამადნება აქ ოქროს შემცველ კალიშპატიტებზეა ზედადებული. საკუთრივ სულფიდურ მადანს ახლავს მადანმომიჯნე (სინმადნური) მაღალტემპერატურული ეპიდოტ-ცოიზიტური პროპილიტიზაცია, რომელიც ფლუიდების მაღალ ტემპერატურაზე მიგვანიშნებს, ხოლო წინამორბედი

კალიშპატიზაცია ხსნარების მაღალტუტიანობას ადასტურებს. ბექთაკარის კვანძზე ფლუიდების მაღალი ტუტიანობა ერთის მხრივ და მაღალი ტემპერატურა მეორეს მხრივ ასტენოსფერული მასალის შემოჭრით (დიაპირიზმით) აიხსნება. საკუთრივ სულფიდურ გამადნებას აქ გაბრო-დიაბაზური შტოკები აკონტროლებს (Gugushvili, 2015). ეს შტოკები იმ ვულკანური კერის აპოფიზებს წარმოადგენენ, რომლიდანაც შემდგომ შორშოლეთის წყების ტუტე ოლივინიანი ბაზალტების ამოფრქვევა მოხდა. კამპანური ასაკის შორშოლეთის წყება, რომელიც პეტროქიმიურად ბეკარკისთვის დამახასიათებელი ტუტე და სუბტუტე ოლივინიანი ბაზალტებითა და ანდეზიტ-ბაზალტებითაა აგებული, თავზე ადევს კამპანური ასაკის მადანშემცველ გასანდამის წყებას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მადნეულის კვანძის გამადნების ფორმირება ნორმულ სუბდუქციას უკავშირდება, ხოლო ბექთაკარის კვანძის ფორმირება ბეკარკის საწყის სტადიას მიეკუთნება, რაც სუბდუცირებული ფილის დეფორმაციის და დიაპირის შემოჭრის საწყისი ეტაპით არის გამოწვეული (Gugushvili, 2015).

ოქრო-სპილენდპორფირული გამადნება მადნეულისა და ბექთაკარის კვანძში მკვეთრად განსხვავებულია ოქროს შემცველობის თვალსაზრისით. მადნეულის კვანძში ოქროს შემცველობა საკუთრივ სულფიდურ მადანში საშუალოდ 0.8 g/t არ აღემატება, ხოლო ბექთაკარის კვანძში იგი საშუალოდ 5 g/t -ს უდრის. აქ სუბდუქციის გვიან სტადიაზე და ბეკარკის საწყის ეტაპზე შემოჭრილი მანტიური მასალის გავლენით და მაღალტემპერატურული ფლუიდების ზემოქმედების შედეგად გრანიტული ქერქიდან, რომელიც აქ ჯერ კიდევ მონაწილეობს მადანწარმოშობის პროცესში, ოქროს უფრო ინტენსიური გამოტუტვა ხდებოდა, ვიდრე სუბდუქციის ნორმულ ეტაპზე ფლუიდების უფრო დაბალი ტემპერატურის პირობებში.

სხვა ვითარება ისახება უფრო ინტენსიური მანტიური დიაპირიზმისა და ბეკარკული და ინტერარკული სპრედინგის პირობებში კავკასიონის სამხრეთ ფერდზე და ჩრდილო კავკასიის წინაქედზე.

სუბდენცირებული ფილის უფრო ინტენსიური ტრნასფორმაცია და მანტიური დიაპირის შემოჭრის გაძლიერება ინტერარკალურ და რკალსუკანა რიფტინგში გამოვლინდა, რომელსაც ახლავს ტოლეიტ-ტუტებაზალტური ვულკანიზმი და სტრატიმორფული VMS ტიპის თუთია-სპილენძის გამადნება. ამ ვითარებისა და მასთან დაკავშირებული მაგმატიზმის და მინერალიზაციის მაგალითად გამოდგება კავკასიის წინა ქედის ინტრარკალური რიფტი, სადაც ტოლეიტურ ვულკანურ აქტივობას უკავშირდება ხუდესის ჯგუფის (ხუდესი, ურუპი, დაუდი) სტრატიმორფულ თუთია-სპილენძკოლჩედანურ საბადოთა ფორმირება. მეორე მაგალითს წარმოადგენს ქვედაიურული რკალსუკანა რიფტინგი კავკასიის სამხრეთ ფერდის ზინაში, ტოლეიტური ვულკანიზმით და სტრატიმორფული თუთია-სპილენძის გამადნებით (ფილიზ-ჩაის საბადოთა ჯგუფი).

კიდევ უფრო ინტენსიური სპრედინგი და დიაპირიზმი ცენტრალური პონტიდების კიურეს კომპლექსში გამოვლინდა. აქ ბეკარკი მცირე ოკენურ ვითარებაში გადაიზარდა . ზედა პალეოზოურ-ტრიასულში ევრაზიის აქტიურ კიდეზე პალეოტეთისის ფილის სუბდენციამ საბოლოოდ განაპირობა ბეკარკის ტრანსფორმაცია მცირე ოკეანეში. კიურეს კომპლექსი დღეს ცენტრალურ პონტიდებში მდებარეობს (ნახ.6.). შედგება ოფიოლიტებისგან და აგებულია MORB-ის (შუა ოკენური ქედის ბაზალტები) და კუნძულთა რკალური(IAT) ტიპის ტოლეიტებით და დუნიტ-პერიდოტიტული ულტრაფუძე ინტრუზიებით (Ustaömer and Robertson, 1993, 1997). მათი ოკეანური ბუნება დასტურდება იმობილური ელემენტების გეოქიმიით და სპილენძის გამადნებით, მადანში თუთიის და ტყვიის მონაწილეობის გარეშე. სპილენძის საბადოებს აქ წარმოადგენს აშიკოი და ბაკიბაბა, რომლებიც დეტალურად არის შესწავლილი და კვიპროსის ტიპის სპილენძ-

კოლჩედანური მასიური მაღნითაა წარმოდგენილი. იგი Zn და Pb მხოლოდ კვალის დონეზე შეცავს. კომპლექსი წარმოდგენილია სერპენტინიზირებული პერიდოტიტებით, კუმულატური გაბროთი, პილოუ ლავებით, მასიური ლავური ნაკადებისა ლავური ბრექჩიების მორიგეობით და გაკვეთილია დიაბაზური დაიკების კომპლექსით.

სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში ბორდერ-ფილდისა და ტავრიდების ტერეინების გამყოფ ოფიოლიტურ სარტყელში კვიპროსის ტიპის ანალოგიური საბადოებია ცნობილი - მადენკორი (სიირტი) და მადენ (ელაზიგი). ეს სარტყელი წარმოადგენს კვიპროსის ოფიოლიტების აღმოსავლეთ ფლანგს და აგებულია პილოუ ლავებით, გაბრო-დუნიტებით, პიროქსენიტებით, ვერლიტებით, ჰარცბურგიტებით და დუნიტებით და გაკვეთილია დიაბაზების დაიკების კომპლექსით (Engin, 1994). გამადნება უკავშირდება ოფიოლიტური კომპლექსის პილოუ ლავებს, რომელსაც კვეთენ დიაბაზის დაიკები. მინერალიზაცია აქაც წარმოდგენილია სტრატიმორფული VMS პირიტ-ქალკოპირიტული მადნით, რომელიც არ შეიცავს Zn და Pb.

აღსანიშნავია, რომ ოკეანური ტიპის გამადნების პროცესში არ მონაწილეობს არც სიალური და არც ბაზალტური ქერქი, გამადნება აქ სპილენძ-კოლჩედანურია ტყვიისა და თუთიის მონაწილეობის გარეშე. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ფანეროზოურში სპილენძის ძირითადი წყარო მანტიაა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჰატჩინსონმა (Hutchinson, 1973) დაადგინა, რომ ოკეანურ ვითარებაში არსებულ მადანში არ მონაწილეობენ არც ტყვია და არც თუთია. ოკეანური სპერედინგი მხოლოდ საწყის ეტაპზე, როდესაც ბაზალტური ქერქის რელიქტები მონაწილეობდნენ მადანწარმოშობის პროცესში, ოკეანური ტიპის სპილენძის გამადნებაში თუთიის უმნიშვნელო რაოდენობა მონაწილეობს (Hutchinson, 1973).

ბეკარკული რიფტინგის პროცესში და ოკეანურ ვითარებაში ოქროს მონაწილეობაც უმნიშვნელოა და იგი მხოლოდ კვალის დონეზე ფიქსირდება. ეს თეზისი რონასა და სკოტის მონაცემებითაც დასტურდება, რომლებმაც დეტალურად შეისწავლეს ოკეანურ ვითარებაში მადანწარმოშობის პროცესი (Rona and Scott, 1993). აქ სიალური ქერქის მონაწილეობა არ დასტურდება და მაშასადამე ოქროს წყაროსაც ძირითადად სიალური ქერქი წარმოადენს.

1.2.1 სუბდუქციის კავშირი დროსა და სივრცეში

ვულკანიზმთან და მადანწარმოშობასთან

სუბდუციორებული ფილა სუბდუციის პროცესში განიცდის ტრანსფორმაციას დროსა და სივრცეში, როგორც ფილის დაძირვის მიმართულებით, ისე მიმართებით (ლატერალურად) დაძირვის მიმართ, რაც ვლინდება პრეკოლიზიური განვითარების ეტაპის მონაცვლეობაში კუნძულთა რკალური ვითარებიდან ბეკარკ-ინტერარკულში, რომელიც ზოგჯერ ოკეანური ვითარებით სრულდება. ამგვარი მონაცვლეობა განსაკუთრებით მკაფიოდ იკითხება კავკასიის რეგიონის მაგალითზე, სადაც სუბდუციორებული ფილის ტრანსფორმაცია ისახება ორივე მიმართულებით, როგორც სამხრეთიდან - ჩრდილოეთისკენ, ისე ლატერალურად დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ნახ. 9.).

სუბდუციის პირველი ეტაპი დადგენილია კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთი ფერდის ფარგლებში დიზის სერიაში, რომელსაც უკავშირდება პალეოზოური ანდეზიტ-ბაზალტ-დაციტური ვულკანური წყების ფორმირება, იგი წარმოიშვა ნორმულ სუბდუციასთან დაკავშირებულ კირტუტე ვულკანური აქტივობის შედეგად და კუნძულთა რკალურ ვითარებას ასახავს (ნახ. 7.I.) ჩრდილოეთისკენ, კავკასიის წინა ქედის ფარგლებში, სუბდუციორებულმა ფილამ ინტენსიური ტრანსფორმაცია განიცადა, რომელიც სპრედინგსა და მანტიური დიაპირის შემოჭრაში გამოვლინდა

და განაპირობა პალეოზოური ასაკის ინტერარკის ფორმირება (ნახ. 7.I.). აქ ტოლეიტურ ვულკანურ აქტივობასთან ხუდესის ჯგუფის საბადოთა (ხუდესი, ურუპი, დაუდი) სპილენძ-თუთიის გამადნებაა დაკავშირებული. ეს ტოლეიტები რკინის ფრაქციონირების მიხედვით აბისალურ ტოლეიტებს მიეკუთვნება. ამავე დროს ტიტანის შემცველობის მიხედვით და K/Rb შფარდებით ისინი კუნძულთა რკალური ტოლეიტების ტიპს შეესაბამება (Shavishvili, 1983). ასეთი გეოქიმიური დუალიზმი დამახასიათებელია თანამედროვე ინტერარკული რიფტების ბაზალტებისათვის (ნიუ ჯორჯია და ჰებრიდები). ამავე დროს მათ ახასიათებს კონტინენტური რიფტების ბაზალტებზე P, Ti და მსუბუქი ლითოფილების უფრო დაბალი შემცველობა. ხუდესის საბადოთა ჯგუფი წარმოდგენილია სპილენძ-თუთიის გამადნებით და იგი არ შეიცავს ტყვიას. თუთიის წყარო აქ გამადნების პროცესში სუბდუცირებული ბაზალტური ფილა და ბაზალტური ქერქია სპრედინგის პროცესში, ხოლო სპილენძის წყარო აქაც მანტიური დიაპირია. აღსანიშნავია, რომ რიფტინგის პროცესში აქ არ მონაწილეობდა სიალური ქერქი (ტყვიის წყარო), რამაც განაპირობა გამადნებაში ტყვიის არ არსებობა, ინტერარკულ რიფტინგს პალეოზოურში წინ უძღვდა პალეოტეთისის ფილის ჩრდილოვერგენტული სუბდუქცია და სუპრასუბდუქციური კუნძულთა რკალური კირტუტე ვულკანიზმი. შედეგად ჩამოყალიბდა კავკასიონის სამხრეთი ფერდის დიზის სერიაში ანდეზიტ-ბაზალტ დაციტური ვულკანური წყება (Adamia et al., 2016).

კავკასიის სამხრეთ ფერდზე ქვედა იურულმა ბეკარკმა განაპირა ზღვის ვითარება განაპირობა (Adamia et al., 2016), (ნახ. 7.II.). ტოლეიტური ვულკანიზმი აქ ტურბიდიტული სედიმენტაციის თანადროულია, ხოლო გამადნება ფილიზ-ჩაის საბადოთა ჯგუფში (ფილიზ-ჩაი, კაცდაგი, კიზილდერე, ადანგე) სტრატიმორფულია და VMS ტიპის ძირითად პირიტ-ქალკოპირიტ-სფალერიტ-პიროტინული გამადნებითაა წარმოდგენილი. ტოლეიტები აქ ბეკარკისთვის დამახასიათებელი გეოქიმიური ინდიკატორებით ხასიათდებიან კერძოდ, REE დაბალი შემცველობით, Ni, Zr, Hf და Y ნორმულ ჰონდრიტული მახასიათებლებით, Ni და Ti კუნძულთა

რკალური ტოლეიტებისთვის დამახასიათებელი მაღალი შემცველობით (Lordkipanidze et al., 1988; Lordkipanidze et al., 1979). ამ ჯგუფის საბადოები ოქროს უმნიშვნელო შემცველობით და ტყვიის დამორჩილებული მონაწილეობით ხასიათდებიან. ქვედა იურული განაპირა ზღვის ფსკერი სპრედინგის პროცესში უბანუბან გადაფარული იყო სიალური ქერქით. ტოლეიტების ამოფქვევა და ტურბიდიტული სედიმენტაცია ქვედა იურაში აქ მიმდინარეობდა გათხელებული კონტინენტური ქერქის პირობებში (Ломизе и Панов, 2002), სწორედ იგი უნდა ყოფილიყო ოქროსა და ტყვიის წყარო სუბდიუცირებული ფილა და სპრედინგის პროცესში არსებული ბაზალტური ქერქის ბლოკებია. სპილენძის წყარო კი მანტიური დიაპირია, რომელმაც ეს სპრედინგი განაპირობა. ქვედა იურული ბეკარკისა და განაპირა ზღვის ფორმირებას წინ უსწრებდა პალეოზოურ ტრიასულ-ქვედა იურული სუბდიუქცია და მასთან დაკავშირებული კირ-ტუტე დაციტ-რიოლითური ვულკანური სერია, რომელიც ნარულის წყების სახელწოდებითაა ცნობილი და ამიერ კავკასიის მთათაშუეთში პალეოზოური ასაკის ძირულის მასივის გრანიტ-მეტამორფულ კომპლექსზეა განლაგებული (Adamia et al., 2016).

ამიერკავკასიის მთათაშუეთში ბაიოსური ვულკანურ კუნძულთა რკალურ ვითარებას და კირტუტე ანდეზიტურ ვულკანიზმს ზედა იურული ბეკარკის ტიპის ვულკანური აქტივობა ცვლის (ნახ. 7.III.) იგი ზედა იურულ ფერად წყებაში ტუტე ოლივინიანი ბაზალტის და ტრაქიანდეზიტის წყებითაა წარმოდგენილი, რომელიც მონჩიკიტებისა და კომპტონიტების ექტრუზიებითაა გაკვეთილი (Дзощенидзе, 1948).

მოგვიანებით რიონის დეპრესიაში ჩატარებული ბურღვის საფუძველზე დადგინდა მძლავრი (2200 მ-დე) კიმერიჯ-ტიტონური ასაკის ტოლეიტებით, მაღალტიტანიანი ოლივინიანი ბაზალტებით და ტრაქიტებით აგებული ვულკანური წყების არსებობა (Лордкипаниძე, 1980), რომელსაც მ. ლორთქიფანიძე შიდაფილაქნურ რიფტოგენეზს უკავშირებდა. ჩვენი ინტეპრეტაციით იგი მანტიური დიაპირის შემოჭრას და

სპრედინგს უკავშირდება. იგი, სამხრეთით ლოქ-ყარაბახის ზონაში დადგენილი ნორმული სუბდუქციის ბეკარკულ ვითარებაში ჩრდილოვერგენტული ტრანსფორმაციის შედეგი უნდა იყოს. სამხრეთით, ლოქ-ყარაბახის ზონაში ზედა და შეუა იურული კირტუტე, კუნძულთა რკალურ ანდეზიტ-ბაზალტ-დაციტ-რიოლითურ წყებას მნიშვნელოვანი ოქრო-სპილენდპოლიმეტალური საბადოები უკავშირდება (შამლუგი, ალავერდი, ტეხუტი, კედაბეკი, ყარადაღი, ჩოვდარი და სხები). გამადნება აქ პორფირული და ეპიგენეტურია და ზოგჯერ სტრატიმორფულ კუროკოს ტიპის გამადნებითაა წარმოდგენილი (Баба-заде и др., 2015). ზედა იურული ბეკარკი ჩრდილო მიმართულებით სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციისა და მანტიური დიაპირის შემოჭრის შედეგად ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის მთათაშუეთის ტერეინში, რომელსაც წინ უძღვდა ნორმული სუბდუქცია ბაიოსურ-ზედა იურულ კირ-ტუტე ვულკანური აქტივობით და მეტალოგენით ლოქი-ყარაბაღის ზონაში.

მსგავსი ვითარება ისახება ცარცშიც (ნახ. 7.IV.). აქაც ამიერკავკასიის მთათაშუეთის ტერეინებში ბეკარკის ტიპის ტურონ-სანტონური ასაკის მთავრის წყების სახელით ცნობილი ვულკანური სერია ფიქსირდება. იგი შედგება პიკრიტ-ბაზალტებისაგან, ტუტე ოლივინიანი ბაზალტებისაგან, ტრაქიანდეზიტებისაგან და ტრაქიტებისაგან და გავვეთილია ულტრატუტე ფონოლიტური ექსტრუზიებით (Дзоцениძე, 1948; გუგუშვილი, 1968). პეტროქიმიური და გეოქიმიური ინდიკატორებით იგი ბეკარკულ ვულკანურ სერიას მიეკუთვნება, სამხრეთით ართვინ-ბოლნისისა და ლოქი-ყარაბახის ზონებში ზედა ცარცული კირ-ტუტე კუნძულთა რკალური ვულკანური სერიებია ცნობილი. ამ სერიების ფორმირებას ნორმული სუბდუქცია აკონტროლებს. მას უკავშირდება ოქრო-სპილენდპორფირული და ოქროს ეპიგენეტური მცირე და მაღალ სულფიდური მინერალიზაცია კავკასიაში, აღმოსავლეთ პონტიდებში, ბალკანებსა და კარპატებში. ამავე დროს კავკასიაში ბოლნისის მადნიან რაიონსა და პანაგიურიშტეში (ბულგარეთის სრედნეგორიე) კამპანში დაიწყო სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციის (გაღუნვა და დეტაქმენტი) პირველი ეტაპი, რომელმაც

მანტიური მასალის შემოჭრა და კუნძულთა რკალური სიტუაციის ბეკარვის საწყისი სტადიაში გადასვლა გამოიწვია, ამგვარი ტრანსფორმაცია შორშოლეთის წყების ფორმირებაშია გამოხატული და მეტალოგენიაშიც გამოვლინდა. იგი მაღალმაგნეზიალური ტუტე ოლივინიანი ბაზალტებით და ტრაქიანდეზიტებითაა აგებული და პეტროქიმიური და გეოქიმიური მახასიათებლებით ბეკარკულ სიტუაციას შეესაბამება. სუბდუცირებულმა ფილამ ჩრდილოეთით ამიერკავკასიის მთათაშუეთის ტერიტორიაზე ინტენსიური ტრანსფორმაცია განიცადა, სადაც სუბდუქციის პროცესში მანტიური გავლენა და დიაპირიზმი უფრო ძლიერი იყო და ვულკანური აქტივობა პიკრიტ-ბაზალტების, ტუტე ოლივინიანი ბაზალტების და ფონოლიტების ფორმირებაში გამოვლინდა მთავრის წყების სახით (ნახ. 7.IV.).

სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული დიაპირიზმი ეოცენშიც გრძელდება, რაც ნათლად გამოიხატა აჭარა-თრიალეთის რიფტის მაგალითზე. აქ სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციას, რომელსაც რიფტინგი უკავშირდება სამხრეთ-აღმოსავლეთ პონტიდებსა და ართვინ-ბოლნისის ზონის ფარგლებში ეოცენში წინ უძღოდა ნორმული სუბდუქციის პროცესში კუნძულთა რკალური კირ-ტუტე ანდეზიტური ვულკანური აქტივობა და ოქრო-სპილენბოლიმეტალური მინერალიზაცია (Gugushvili et al., 2016). ამავე დროს აჭარა-თრიალეთის ზონაში დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაცია სუსტდება, რაც აისახა მანტიური დიაპირის შემოჭრის ინტენსივობის შესუსტებაზე და სიღრმეზე და ბოლოს იგი ნორმული სუბდუქციით იცვლება (ნახ. 8).

აჭარა-თრიალეთის ზონა ევრაზიის აქტიური კიდის პრეკოლიზიური განვითარების მობილური სისტემის ნაწილია. დასავლეთისკენ იგი შავი ზღვის უგრანიტო ზონაში გრძელდება, რომელიც აღმოსავლური და დასავლური მცირე ოკეანური აუზებითაა წარმოდგენილი, იგი რიფტულ სტრუქტურას წარმოადგენს. რიფტინგის დასაწყისი აქ პალეოცენური ფლიშით (ტურბიდიტებით) არის წარმოდგენილი, რომელიც აღმავალ

ჭრილში ქვედა ეოცენური შოშონიტ-ტრაქიანდეზიტურ სერიაში გადადის (პერანგას და ნაღვარევის წყებები) - ინტერარკული ვულკანური აქტივობის საწყის სტადიას წარმოადგენს, რომელიც მანტიური დიაპირის დიდ სიღრმეზე შემოჭრის პირველ ეტაპს უკავშირდება. იგი ტოლეიტ-ტუტე ოლივინიანი ბაზალტის მძლავრი წყებითაა გადაფარული (ჭიდილას წყება), რომელიც უკვე სრულყოფილი ინტერარკული რიფტის ინდიკატორს წარმოადგენს და განპირობებულია მანტიური დიაპირის ინტენსიური შემოჭრით და სპრედინგით. შუაეოცენის დასასრული და ზედა ეოცენი ხასიათდებიან კვლავ შოშონოტ ტრაქიანდეზიტური ვულკანური აქტივობით და წარმოდგენილია ადიგენისა და ადიგენისზედა ვულკანური წყებებით, რომლებიც თავზე ადევს ჭიდილას წყებას და რიფტინგის შესუსტებას ასახავს. მ. ლორთქიფანიძის მიხედვით აჭარა-თრიალეთის ზონა სამ სეგმენტად იყოფა: დასავლურ, ცენტრალურ და აღმოსავლურად (ლორთქიფანიძე, 1980). ზემოაღწერილი ვითარება აჭარა-თრიალეთის ფარგლებში დასავლურ სეგმენტშია ასახული. აღმოსავლეთისკენ ცენტრალურ სეგმენტში(აჭარა-იმერეთის ქედი და ახალციხის დეპრესია) რიფტინგის ინტენსივობა სუსტდება და შოშონიტურ-ტრაქიანდეზიტური-დელენიტური ვულკანური აქტივობა სჭარბობს, ტოლეიტ-ბაზალტური ვულკანური სერია ისოლება და აქ ოლივინიან ბაზალტური შუა ეოცენური ვულკანური სერიის მხოლოდ სულ ქვედა დონეზე ლიკანის წყებაში ფიქსირდება. ამ სეგმენტში ეოცენური წყების სიმძლავრე მნიშვნელოვნად იკლებს. თუ დასავლურ სეგმენტში იგი 7 კმ-ს უდრის, აქ იგი 4 კმ-ს არ აღემატება. ეფრო აღმოსავლეთით თრიალეთის ქედის ფერგლებში, ვულკანური სერიის სიმძლავრე კვლავ იკლებს, იგი 3 კმ-ს არ აღემატება და წარმოდგენილია კირტუტე ანდეზიტის სერიით, რაც რიფტინგის ჩაქრობასა და კუნძულთა რკალური აქტივობის მიმნიშნებელია.

ვულკანიტების გეოქიმიური და პეტროქიმიური დახასიათება და ვულკანიზმის მიმდინარეობა აჭარა-თრიალეთის ზონაში დეტალურადაა აღწერილი მ. ლორთქიფანიძის მონოგრაფიაში (ლორთქიფანიძე, 1980), სადაც დასაბუთებულია რიფტინგის თანდათანობითი ჩაქრობა დასვლური სეგმენტიდან

აღმოსავლურისკენ.აღმოსავლურ სეგმენტში მისი სრული ჩაქრობა ხდება და გადასვლა კუნძულთა რკალურ ვითარებაში კირტუტე ვულკანური აქტივობით. ჩვენი ინტერპრეტაციით ამგვარი განვითარება უკავშირდება სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციის შესუსტებას დასვლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დააღმოსავლეთ სეგმენტში ხდებოდა ნორმული სუბდუქცია ფილის დეფორმაციის გარეშე.

სუბდუცირებული ფილის ლატერალური ტრანსფორმაცია აჭარა-თრიალეთის ზონაში აისახა, როგორც ვულკანიზმის ხასიათში, ისე მასთან დაკავშირებულ პოსტვულკანურ ჰიდროთერმულ პროცესში (ნახ. 8.) დასვლურ სეგმენტში, სადაც ფილის ინტენსიურ ტრანსფორმაციამ მცირე სიღრმეზე მანტიური დიაპირის შემოჭრა განაპირობა, შუა ეოცენში ტოლეიტ-ტუტე ბაზალტურ ვულკანიზმს ახლავს ეპიდოტ-ცოიზიტური და აქტინოლითური პროპილიტიზაცია, რომლის ფორმირების ტემპერატურა 360^0 - 470^0 C ფარგლებშია. პროცესის ტემპერატურა განისაზღვრა სტრენსის ეპიდოტური თერმომეტრიისა და კვარცში გაზურ-თხიური ჩანართების დეკრეპიტაციის და ჰომოგენიზაციის საფუძველზე (ანალიტიკოსი რ. ახვლედიანი). ფონური მაღალტემპერატურული პროპილიტიზაცია დადგენილია ჭიდილას, შუა ეოცენურ წყებაში და ქვეშ მდებარე პერანგასა და ნაღვარევის წყებებში. ეს წყებები შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური სერიებისგან შედგება. მაღალტემპერატურული პროპილიტიზაცია, რომელიც ახლავს ტოლეიტ-ტუტე ბაზალტურ ვულკანიზმს, ზედადებულია ქვეშმდებარე პერანგასა და ნაღვარევის წყებებზეც. ამავე დროს მძლავრ შოშონიტურ და ტრაქიანდეზიტურ ვულკანურ სერიაში (ადიგენისა და ადიგენისზედა წყებები), რომელიც თავზე ადევს ჭიდილის წყებას, ფონური შეცვლის პროცესი, უფრო დაბალტემპერატურული ქლორიტ-ალბიტური და ცეოლიტური პროპილიტებითაა წარმოდგენილი. ზედა ეოცენური შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური ვულკანიტები მთელ სიმძლავრეზე (2000 მ-მდე) ფონურად შეცვლილია ქლორიტ-ალბიტური და ცეოლიტური პროპილიტიზაციით. ქლორიტ-ალბიტური პროპოლიტები ადიგენის წყების მხოლოდ ქვედა დონეზე ფიქსირდება. მაშასადამე, აქ შუა ეოცენიდან ზედა ეოცენისაკენ ვერტიკალურად იგულისხმება

სუბდუცირებული ფილის ტრანფორმაციის მანტიური გავლენის და რიფტინგის შესუსტება, რასაც უკავშირდება ფლუიდების ტემპერატურის დაცემა და სითბური რეჟიმის შესუსტება. ამგვარი თანმიმდევრობა აისახა ტოლეიტ-ბაზალტური ვულკანური აქტივობის ჩანაცვლებაში შოშონიტურ-ტრაქი-ანდეზიტურით, რომელსაც უკავშირდება სინვულკანური ძირითადად ცეოლითური პროპოლიტიზაცია. მაღალტემპერატურული ეპიდოტ-ცოიზიტური პროპოლიზაციის, გადასვლა ქლორიტ-ალბიტურსა და ცეოლითურში, რაც დასტურდება სინვულკანურ დაბალტემპერატურული პროცესით და უფრო დაბალტემპერატურული რეჟიმით რიფტინგის შესუსტების პირობებში და უფრო დიდ სიღრმეებზე შემოჭრილ მანტიურ დიაპირის ზემოქმედებაზე. მაშასადამე, მანტიური გავლენის შესუსტება აღმავალ ჭრილში, რომელიც გამოიხატა ქლორიტ-ალბიტურ და ცეოლითურ ფონურ პროპილიტიზაციაში, არის შედეგი რიფტინგის შესუსტების, რომელიც გამოიხატა შოშონიტურ ვულკანიზმთან დაკავშირებულ ალბიტ-ქლორიტურ და ცეოლიტურ პროპილიტიზაციაში. ქლორიტ-ალბიტური პროპილიტიზაციის ტემპერატურა 250^0 - 300^0 C, ხოლო ცეოლითურისა $<250^0$ C, მაშინ როდესაც ეპიდოტ-ცოიზიტური და აქტინოლითურ პროპილიტიზაციის ტემპერატურა 350^0 და 470^0 მდე მერყეობს.

აჭარა-თრიალეთის ზონაში რიფტინგის თანდათან შესუსტება ლატერალურადაც დგინდება. აქ დასავლური სეგმენტიდან (აჭარა-გურიის რეგიონი) ცენტრალურისკენ (აჭარა-იმერეთის ქედი, ახალციხის დეპრესია) გადასვლაც რიფტინგის და მანტიური გავლენის შესუსტებით აიხსნება. აქ ბაზალტური ვულკანიზმი, მხოლოდ შუა ეოცენურის ქვედა დონეზე გამოვლინდა (ლოდკიპანიძე, 1980), რომელსაც ასახავს სუსტად გამოხატული ფონური ეპიდოტ-ცოიზიტური პროპოლიტიზაცია (ნახ. 8). აღმავალ ჭრილში იგი შოშონიტ-ტრაქიანდეზიტ-დელენიტურ სერიაში გადადის, რომელსაც ქლორიტ-ალბიტური და ცეოლიტური პროპილიტიზაცია ახლავს. აღსანიშნავია, რომ დასავლურ სეგმენტში ტოლეიტ-ბაზალტური წყების სიმძლავრე 5-კმ-ია, ხოლო მისი სიღრმე 3-კმ-ის ფარგლებშია. იმ დროს, როდესაც ცენტრალურ

სეგმენტში ბაზალტური წყების (სერიის) სიმძლავრე რამდენიმე ასეული მეტრის ფარგლებში მერყეობს (ლიკანის წყება), მას თავზე ადევს შოშონიტ-ტრაქი ანდეზიტური სერია რომლის სიმძლავრე 3 კმ-ს აღემატება. მაღალტემპერატურული ეპიდოტ-ცოიზიტური პროპილიტიზაცია მხოლოდ ბაზალტურ წყებაშია ცნობილი, იმ დროს როდესაც ქლორიტ-ალბიტური და უფრო დაბალტემპერატურული ცეოლიტური პროპოლიტიზაცია მთელ სიმძლავრეზე ანაცვლებს შოშონიტ-ტრაქიანდეზიტურ და დელენიტურ სერიას (ნახ. 8). ამგვარად, ცენტრალურ სეგმენტში ქლორიტ-ალბიტური და ცეოლითური ფონური პროპილიტიზაცია, რომელიც წარმოადგენს დასავლურ სეგმენტთან შედარებით რიფტინგის შესუსტების ინდიკატორს, რაც უფრო დიდ სიღრმეზე შემოჭრილ მანტიურ დიაპირისა და ტემპერატურული რეჟიმის დაწევის მაჩვენებელია.

უფრო აღმოსავლეთისკენ, აღმოსავლურ სეგმენტში (თრიალეთის ქედი) შოშონიტურს ანდეზიტური სერია ანაცვლებს (ნახ. 8.), რაც ადასტურებს რიფტული ვულკანიზმის ჩანაცვლებას კუნძულთა რკალურით, რომელიც ნორმულ სუბდიუქციას უკავშირდება (Gugushvili, 2015, Gugushvili et al., 2016). რიფტული ვითარება ლითოლოგიურად აქ მხოლოდ პალეოცენში აღინიშნება, რასაც ტურბიდიტების სედიმენტაცია ადასტურებს. ეოცენში ანდეზიტურ ვულკანურ აქტივობას ახლავს ცეოლიტური ფონური პროპილიტიზაცია, რომელიც კირ-ტუტე ვულკანიზმთან ერთად კუნძულთა რკალური ვითარებას ასახავს. მიუხედავად ვულკანური სერიის მნიშვნელოვანი სიმძლავრისა, რომელიც 3-კმ-ს აღემატება, პროპილიტიზაცია აქ დაბალტემპერატურული ცეოლითური ტიპითაა წარმოდგენილი. თუმცა თვით ფონური ცეოლიტიზაცია აქ ხასიათდება ზონალობით - ანალციმ-ლომონტიტური ზონიდან, რომელიც ვერტიკალურად β -ლეონგარდიტ-კლინოპტილოლიტურ ზონაში გადადის (Гугушвили, 1980). დაბალტემპერატურული რეჟიმი თრიალეთის ქედის ზონაში განპირობებულია ვულკანური კერების დიდი სიღრმით და მანტიური დიაპირის ზემოქმედების არ არსებობით ვულკანიზმსა და პოსტვულკანურ პროცესზე.

ს. ფედოტოვის მიხედვით (Федотов, 1974) გეოფიზიკური მონაცემებით კირტუტე მაგმის გენერაცია კურილებისა და კამჩატკის ზონაში, 100-230 კმ სიღრმეს უკავშირდება, ხოლო შუა ოკეანურ ქედებზე მაგმის გენერაციის დონე, რომელიც მცირე სიღრმეზე შემოჭრილ მანტიურ დიაპირს უკავშირდება 15-20 კმ-ს არ აღემატება (Горшков, 1974). ტ. ხატერტონის მიხედვით სითბური ნაკადები კუნძულთა რკალურ ზონაში 0.7 სითბური ნაკადის ერთეულს (სწ) უდრის, ხოლო რკალის გარეთ ოკეანში იგი 3 სწ-ს შეესაბამება. შუა ოკეანურ ქედებზე კი იგი 7 სწ-ს აღწევს, თერმოგრადიენტი აქ 160° C/კმს უდრის. აჭარა-თრიალეთის ზონის დასვლურ სეგმენტში თერმოგრადიენტი 120° C/კმს აღემატება, რაც ამ სტრუქტურის ფორმირების პირობებში მაღალი სითბური ნაკადის არსებობაზე მიგვანიშნებს, რომელიც მანტიური დიაპირის მაღალ დონეზე შემოჭრით უნდა იყოს განპირობებული.

აჭარა-თრიალეთის ზონის ცენტრალურ და აღმოსავლეთ სეგმენტში ფონური პროპილიტიზაცია ძირითადად ქლორიტ-ალბიტური და ცეოლიტური ფაციესებითაა წარმოდგენილი, თუმცა აღსანიშნავია, რომ აქ დიორიტული ინტრუზიული შტოკების კონტაქტმომიჯნე ზონებში ვულკანიტებში მაღალტემპერატურული ეპიდოტ-ქლორიტული და ცოიზიტური პროპოლიტიზაცია აღინიშნება, ხოლო კირქვებთან ამ ტიპის ინტრუზივების კონტაქტში მაღალტემპერატურული სკარნები ფიქსირდება, რაც ამ ინტრუზივების სითბური გავლენით უნდა იყოს გამოწვეული (Гугушвили, 1980).

აჭარა-თრიალეთის ეოცენური ინტერარკული რიფტის დასავლური სეგმენტი შავი ზღვის აღმოსავლეთ მცირე ოკეანურ აუზში გრძელდება (Adamia et al., 2016), რომელიც თავის მხრივ შავი ზღვის დასავლეთ ოკეანურ აუზში გადადის (ნახ. 9.). დასავლეთისკენ ბულგარეთში იგი ბურგასის სინკლინორიუმს უერთდება, რომელიც ტოლეიტური და ტუტე ბაზალტური ლავებით არის აგებული და აჭარა-თრიალეთის რიფტის მსგავს ინტერარკულ რიფტულ სტრუქტურას წარმოადგენს (Vassileff and

Stanisheva-Vassileva, 1981). აღმოსავლეთი შავი ზღვის აუზი ანკარა-ერზიჯან-სევანის ეოცენური ასაკის სუტურით კონტროლდება, ხოლო დასავლეთ შავი ზღვის აუზი ინტრაპონტიდური სუტურით (ნახ. 3.) (Okay and Tüysüs, 1999), ორივე სუტურის კოლიზიის ბოლო ეტაპი ზედა ეოცენით თარიღდება (Okay and Tüysüs, 1999; Adamia et al., 2016).

აჭარა-თრიალეთის ბეკარკის აღმოსავლეთ შავი ზღვის ოკეანურ აუზში გადასვლის მსგავსი ვითარება დადგენილია აზერბაიჯანში, შუა-ზედა ეოცენური ტალიშის ბეკარკი გრძელდება სამხრეთ კასპიის ზღვის ოკეანურ აუზში (Мамедов, 1998). ტალიშის ბეკარკიც კონტროლდება ანკარა-ერჯინზან-სევან-აკერის სუტურით და მისი ფორმირება ტეთისის სუბდუქციას და სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციას უკავშირდება. მას სამხრეთით ესაზღვრება ალბორც-აზერბაიჯანის ეოცენური შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური ვულკანური სერია, რომელიც თავზე ადევს კუნძულთა რკალურ კირ-ტუტე ანდეზიტ-დაციტურ ცარცულ ვულკანურ წყებას. ეს უკანასკნელი ნორმულ სუბდუქციას უკავშირდება. ეოცენში სუბდუცირებული ფილა განიცდიდა დეფორმაციას, რომელმაც პირველ ეტაპზე შოშონიტური სერიის ფორმირება განაპირობა, შემდეგ ეტაპზე ტრანსფორმაციის გაძლიერებასთან ერთად მანტიური გავლენა ძლიერდება და მასთან დაკავშირებულმა დიაპირმა ტალიშის ბეკარკის ფორმირება განაპირობა (ნახ.9.). შუა ეოცენური ვულკანიტები წარმოდგენილია ტუტე ოლივინიან ბაზალტურ-ფონოლიტური ვულკანური სერიით, იგი პეტროქიმიურად და გეოქიმიური ფონით აჭარა-თრიალეთის ანალოგიურია. ამავე დროს, ტალიშში შუა ეოცენური ბაზალტოიდებს თავზე ადევს ზედა ეოცენური ვულკანოგენურ-დანალექი წყება, რომელსაც კვეთს პერიდოტიტების, პიკრიტების და გაბრო-პერიდოტიტების შტოკები და დაიკური კომპლექსი. ტალიშის ბეკარკი აღმოსავლეთით ლატერალურად კასპიის ზღვის ოკეანური ტიპის აუზით ნაცვლდება (Lordkipanidze et al., 1988). აღსანიშნავია, რომ თუ აჭარა-თრიალეთში ზედა ეოცენისკენ მანტიური გავლენა სუსტდება და ზედაოცენი შოშონიტური სერიითაა წარმოდგენილი, ტალიშის ბეკარკში ზედა ეოცენში მანტიური გავლენა ძლიერდება,

რაც გამოიხატა ბეკარკული ოკეანური ვითარებისათვის დამახასიათებელი ულტრაფუძე პერიდოტიტების შტოკების შემოჭრით.

1.3. პრეკოლიზიური მეტალოგენია

ევრაზიის აქტიური კიდის პრეკოლიზიური მეტალოგენია, ისევე როგორც პრეკოლიზიური ვულკანური აქტივობა, კონტროლდება სუბდუქციითა და ტეთისის ოკეანის სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციით. მადანწარმოშობა უკავშირდება პრეკოლიზიური განვითარების კუნძულთა რკალურ, ინტრარკალურ და ბეკარკულ ეტაპებს, რომელთაც მათთვის დამახასიათებელი გამადნება ახლავს. ამ ეტაპების გამადნება კონტროლდება მადანწარმოშობის პროცესში მანტიური მასალის, სიალური და ბაზალტური ქერქის მონაწილეობის დონით.

აღმოსავლეთ პარატეთისში ფანეროზოული ვულკანიზმი და მადანწარმოშობა კონტროლდება ტეთისის ოკეანის ჩრდილოვერგენტურლი სუბდუქციით, რომელიც წინ უსწრებდა ოკეანის დახურვას და ზედა ეოცენური ანკარა-ერზინჯან-სევანის სუტურის ფორმირებას.

აღმოსავლეთ პონტიდების ცარცული და ეოცენური ოქრო-სპილენძპორფირული მადანწარმოშობა აქ წარმოდგენილია პორფირული, ეპითერმული და კუროკოს ტიპის VMS გამადნებით. პორფირულ საბადოებს აქ წარმოადგენენ გიუზელაილა, დერეკო, გიუმუშანე, ბალიკო და სხვა, ეპითერმულს - ტაკი, მასტრა, კორაკი, აკბაბა და დერეკო, ხოლო კუროკოს ტიპის საბადოებს ჩაელი, ჩერატეპე, ლაპანოსი და კოპრუბასი (ნახ. 6.). აღსანიშნავია, რომ პორფირული საბადოები აქ არ შეიცავს ოქროს, იმ დროს როდესაც ეპითერმული (მაღალსულფიდური) და კუროკოს ტიპის საბადოები ოქროსშემცველია. (Yigit, 2009).

ტეთისის ჩრდილოვერგენტულ სუბდუქციას უკავშირდება ბალკანეთის კირტუტე კუნძულთა რკალური ვულკანიზმი და მასთან დაკავშირებული მადანწარმოშობა, აქაც მეტალოგენია ნორმალური სუბდუქციით კონტროლდება და ძირითადად ოქრო-

სპილეოპოლიმეტალური, პორფირულ და ეპითერმულ ტიპის საბადოებით არის წარმოდგენილი (ნახ. 4.). მათგან მნიშვნელოვანია ჰანაგიურიშტეს მადნიანი რაიონის საბადოები ჩელოპეჩი, ელატსიტე, ელშიცა, ვლაიკოვ ვრუხი და სხვები. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით მდიდარია ოქროთი მაღალსულფიდური ეპიგენეტური გამადნება ჩელოპეჩის საბადოზე, იგი ოქროს პოტენციალით უმდიდრესია ევროპაში. მეტად მნიშვნელოვან აქრო-სპილენძპოლიმეტალურ საბადოებს სერბეთის ტიმოკში ბორი და მაიდანპეკი წარმოადგენენ, სადაც ჩელოპეჩის საბადოებისგან განსხვავებით, როგორც პორფირული, ისე ეპითერმული მადანი ოქროს შემცველია. რუმინეთის კარპატების საბადოებს შორის მნიშვნელოვანია ბაია-მარე და ალმაზ-სტანიჯა, ისინი პორფირულ და ეპითერმულ უსულფიდო ოქროს გამადნებას შეიცავს. ოქროს გამადნება კვარც-ქალცედონური და კვარც-ბარიტულ შტოკვერკებს უკავშირდება, მაშინ როდესაც ამ საბადოთა პორფირული ზონა ოქროთი ღარიბია და ძირითადად სპილენძ-პოლიმეტალური გამადნებით ხასიათდება.

ამგვარად, გეოდინამიკური პროცესის ტრანსფორმაცია, გამოიხატა, როგორც ვულკანიზმში, ისე პოსტვულკანურ პროცესში, რომელიც, აგრეთვე წარმოადგენს გეოდინამიკური განვითარების ინდიკატორს. ოქრო სპილენძპოლიმეტალური მადანწარმოშობის პროცესიც მკაფიოდ ასახავს პრეკოლიზიური განვითარების სხვადასხვა ეტაპს. აჭარა-თრიალეთის ზონის დასავლურ სეგმენტში ოქრო-სპილენძპოლიმეტალური მონერალიზაცია ზედა ეოცენში, რიფტინგის შესუსტებასთან არის დაკავშირებული და კონტროლდება სიენიტ-დიორიტული და სიენიტური ინტრუზიული შტოკებით, რომლებიც ღრმა კერებთან დაკავშირებული მადნიანი ფლუიდების გამტარებელია. აქ იგი წარმოდგენილია პორფირული გამადნებით და ზედა ეოცენით თარიღდება. შუა ეოცენური ტოლეიტ-ტუტე ბაზალურ ინტერარკულ ვულკანიზმს აქ არ უკავშირდება VMS ტიპის სტრატიმორფული გამადნება, თუმცა ინტრარკალური და ბეკარკული რიფტული ვულკანიზმი სხვაგან აკონტროლებს სპილენძ-თუთიის სტრატიმორფულ მადანს, რაც დასტურდება ხუდესის და ფილიზჩაის საბადოთა ჯგუფის რიფტულ და განაპირა

ზღვის გამადნებით (Gugushvili, 2015). საქმე იმაშია, რომ აჭარა-თრიალეთის ტოლეიტ-ტუტე ბაზალტური და შოშნიტ-ტრაქიანდეზიტური სერიების ქანებში სპილენძისა და თუთიის შემცველობა მრავალჯერ აღემატება კლარკულს. ეს მეტალები კონცენტრირებულია მაგმაში და რატომღაც არ გადადიოდნენ ფლუიდურ ფაზაში. მსგავსი ვითარება აღწერილია ტ. ფლოროვას და ბურიკოვას შრომაში (Фролова и Бурикова 1977). სამხრეთ ურალის ინტრარკალური რიფტების ბაზალტები ხასიათდება სპილენძისა და თუთიის მაღალი შემცველობით და არ შეიცავენ სტრატიმორფულ გამადნებას. ამ ავტორებსაც მიაჩნიათ, რომ აქ მადნის არ არსებობა განპირობებულია სპილენძისა და თუთიის მაღალი შემცველობით ბაზალტში და რომლებიც არ გადადიან ფლუიდებში.

სპილენძის მაღალი შემცველობა ფიქსირდება აჭარა-თრიალეთის შოშნიტ-ტრაქიანდეზიტური სერიის ქანებშიც და იგი კლარკულს 10-ჯერ აღემატება. სპილენძ-პოლიმეტალური მადანწარმოშობა აქ დაკავშირებულია სერიციტიზაციის პროცესთან. სერიციტიზაცია უკავშირდება სიენიტ-დიორიტული ინტრუზული სხეულების კონტაქტის მომიჯნე ზონებს. თვით სერიციტოლითები ხასიათდება სპილენძის დაბალი შემცველობით (16-34 გ/ტ) და ტყვიის მაღალი ტრენდით (97 გ/ტ). აქედან გამომდინარე სპილენძის წყაროს აქ საღი ქანები წარმოადგენენ. სერიციტიზაციის პროცესში ხდებოდა მისი გამოტანა შემცველი ტოლეიტ-ბაზალტური და შოშნიტ-ტრაქიანდეზიტური ქანებიდან და მისი გამოლექვა მადნის სახით. ამავე დროს, თვით სერიციტოლითები მეტად მდიდარია ტყვიით (92-97 გ/ტ), იმ დროს როდესაც ბაზალტები და ტრაქიანდეზიტები შეიცავენ მხოლოდ 9.3-15.3 გ/ტ ტყვიას. აჭარის მადნიან რაიონში სიენიტ-დიორიტულ და სიენიტურ შტოკებს სერიციტიზაციის ფართო ორეოლები ახლავს. სპილენძის მაღალი შემცველობა შემცველ ქანებში და მისი გამოტუტვა სერიციტიზაციის პროცესში უსათუოდ მნიშვნელოვანია ამ ოქრო-სპილენძპოლიმეტალური საბადოს ფორმირებაში. მადანწარმოშობაში სერიციტიზაციის მნიშვნელოვანი როლის შესახებ მეტყველებს სპილენძის ძარღვთა მაღანმომიჯნე მეტასომატიტების ქლორიტ-კარბონატული

შემადგენლობა. მათი წარმოშობა დაკავშირებულია Ca, Fe და Mg -ის შემოტანით, რომელთა გატანა ხდებოდა შემცველი ქანებიდან ინტრუზივების კონტაქტმომიჯნე სერიციტიზაციის პროცესში (Гугушвили, 1980).

სულ სხვა დამოკიდებულება ისახება მადანწარმოშობის პროცესში ტყვია-თუთიის მონაწილეობაში, მადანშემცველ ვულკანიტებსა და კომაგმურ ინტრუზულ ქანებში. მათი შემცველობა აქ კლარკის ფარგლებში ფიქსირდება, ამავე დროს სერიციტოლითები მნიშვნელოვნად გამდიდრებულია ამ მეტალებით. ისინი 8-10-ჯერ მეტ ტყვიას და ორჯერ მეტ თუთიას შეიცავს პირველად ანდეზიტებსა და ტრაქიანდეზიტებში (Иваницкий и др. 1969), რაც ჩვენი მონაცემებითაც დასტურდება (Гугушвили, 1980). ეს მონაცემები და ისიც, რომ ტყვია-თუთიის მადნიანი ძარღვების მადანმომიჯნე ზონები და ინტრუზივების კონტაქტმომიჯნე ზონები კვარც-სერიციტ-სკოლიტური მეტასომატოზით ხასიათდება, ადასტურებს ტყვიისა და თუთიის იუვენილურ წყაროს ფლუიდებში (Гугушвили, 1980) ამგვარად, აჭარა-თრიალეთის სპილენძ-პოლიმეტალურ საბადოებში სერიციტიზაცია წარმოადგენს მადანწარმოშობ პროცესს, როგორც სპილენძისთვის (გამოტუტვის პროდუქტი შემცველი ქანებიდან), ისე იუვენილური წარმოშობის ტყვია-თუთიისთვის.

ამ ბოლო დროს დგინდება, რომ სპილენძის წყარო მანტიაა, თუთიისა ბაზალტური ქერქი, ხოლო ტყვიისა და ოქროსი სიალური ქერქია (Gugushvili et al., 2010; Gugushvili, 2015). ოკეანური ვითარება განაპირობებს კვიპროსის ტიპის სპილენძ-კოლჩედანური საბადოების ფორმირებას, ინტრარკული და ბეკარკული ვითარება - სპილენძ-თუთიის გამადნებას, ხოლო კუნძულთა რკალური სიტუაცია ოქრო-სპილენძ-ტყვია-თუთიის მადანწარმოშობას. ამგვარად, მადნების შედგენილობაც (მეტალოგენია) განისაზღვრება მადანწარმოშობის გეოდინამიკური ვითარებით. ოკეანური ვითარების სპილენძ-კოლჩედანური საბადოები წარმოდგენილია სტრატიმორფული გამადნებით და სინმადნური მაღალტემპერატურული ეპიდოტ-ცორიზიტური და აქტინოლითური პროპილიტიზაციით. ინტრარკალური და ბეკარკული რიფტების

გამადნებაც, რომელიც უკავშირდება ტოლეიტ-ბაზალტურ ვულკანურ აქტივობას, წარმოდგენილია სპილენძ-თუთიის გამადნებითა და ფონური მაღალტემპერატურული პროპილიტიზაციით. ოქრო-სპილენძპოლიმეტალური გამადნება უკავშირდება კუნძულთა რკალურ ვითარებას, რომელიც კონტროლდება კირტუტე ვულკანიზმით და წარმოდგენილია პორფირული, მაღალ - და მცირე სულფიდური მაღადნებით და ზოგჯერ უსულფიდო ოქროს გამადნებითაც, რომელიც კვარც-ქალცედონურ ძარღვებსა და შტოკვერკებს უკავშირდება. გარდა ამისა, კუნძულთა რკალურ ვითარებაში ცნობილია კუროკოს ტიპის VMS გამადნება, რომელსაც ახლავს ცეოლითური პროპოლიტიზაცია. კუროკოს ტიპის საბადოები ხასიათდებიან ტყვიის მაღალი შემცველობით თუთიასთან და სპილენძთან შედარებით და ოქროს მაღალი ტრენდით. ყოველივე ზემოთქმული დეტალურად არის აღწერილი ევრაზიის აქტიური კიდის მაგალითზე (Gugushvili et al., 2010; Gugushvili, 2015) და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებშიც დასტურდება.

გარდა ამისა, ბოლნისის მაღნიან რაიონში და პანაგიურიშტეში (ბულგარეთის მთათაშუეთი) გვიან ცარცული ოქრო-სპილენძპოლიმეტალური გამადნებაა დადგენილი, რომელიც კუნძულთა რკალური ვითარებიდან ბეკარკულში გარდამავალ ეტაპს შეესაბამება (Von Quadt et al., 2005; Gugushvili, 2002; Gugushvili 2015) და რიფტოგენეზის საწყის სტადიას უკავშირდება, აქ მაღანწარმოშობაში მონაწილეობს როგორც სიალური ქერქი, ისე ბაზალტური და იგი მანტიური დიაპირის შემოჭრის საწყის ეტაპსაც შეესაბამება. აქ დადგენილია პორფირული და მაღალსულფიდური მინერალიზაცია, მაღანმომიჯნე მაღალტემპერატურულ ეპიდოტ-ცოიზიტ-აქტინოლითურ პროპილიტიზაციასთან ერთად და მცირე სულფიდური ოქროს გამადნება, რომელსაც კვარც-კალიშპატური მეტასომატოზი აკონტროლებს. ბოლნისის მაღნიან რაიონში მაღალტემპერატურული პროპილიტიზაცია და კალიშპატიზაციის პროცესი მანტიური დიაპირის შემოჭრას უკავშირდება, რომელმაც განაპირობა მაღალტემპერატურული ფლუიდური ნაკადი ერთის მხრივ და ტუტე ოქროს შემცველი ფლუიდების აქტივობა, რაც დასტურდება

ფლუიდებისა და ქანების ურთიერთობის გეოქიმიური მოდელირებით (Mernagh, Bierlein, 2008). უსულფიდო მინერალიზაციას უკავშირდება ტუტე-კარბონატული ხსნარების აქტივობა და ოქროს გამოლექვა ამ ხსნარებიდან ხდება 220° C ტემპერატურაზე CO_2 და CH_4 აორთქლებასთან ერთად, რომელსაც კალიშპატიზაცია და გაკარცვება ახლავს. უფრო მაღალტემპერატურული ოქროს გამოლექვა $350-400^{\circ}$ C ტემპერატურაზე ხდება, ოქროსშემცველი ჰიდროსულფიდური, სუსტად მჟავე ხსნარებიდან O_2 დაბალი ფუგიტივობისა და CO_2 აორთქლების პროცესში სპილენძ-პოლიმეტალურ გამადნებასთან და ეპიდოტ-ცოიზიტურ პროპილიტიზაციასთან ერთად. აღსანიშნავია, რომ ბოლნისი მადნიანი რაიონის ბექთაკარის საბადოზე გაზურ-თხიერ ჩანართებში ტუტე-კარბონატული ფლუიდის ტემპერატურა $220^{\circ}-230^{\circ}$ (Гугушвили, 2014), ჰიდროსულფიდური ხსანის გაზურ-ფლუიდური ჩანართების ტემპერატურა ოქრო-სპილენძპოლიმეტალურ მადანში $350-400^{\circ}$ C (Гогишвили, Зулиашвили 1959) და გამადნების თანმხლები პროპილიტიზაციის ტემპერატურაც $350-400^{\circ}$ C უდრის.

ჰიდროთერმული აქტივობის და გამადნების პირველი ეტაპი ბექთაკარის საბადოზე ტრაქირიოლითურ ვულკანურ აქტივობასთან და ოქროს გამადნების შემცველ კალიშპატიზაციასთან არის დაკავშირებული, ხოლო მეორე ეტაპი გაბრო-დიაბაზურ მაგმატიზმთან და ოქრო-სპილენძპოლიმეტალურ მინერალიზაციისთან სინმადნურ ეპიდოტ-ცოიზიტურ პროპილიტიზაციასთან ერთად. იგი ზედადებულია ოქროს შემცველ კვარც-კალიშპატურ მეტასომატებზე (Гугушвили и др., 2014; Gugushvili, 2015; Gugushvili et al., 2016). ზემოხსენებული გაბრო-დიაბაზური ძარღვები და შტოკები წარმოადგენებ ვულკანური კერების აპოფიზებს. ამ კერებიდან მოგვიანებით, ზედა კამპანურში, ხდებოდა ტუტეოლივინიანი ბაზალტების ამოფრქვევა, შორშოლეთის წყების ფორმირებით, რომლებიც ადასტურებენ ბეკარკული რიფტის არსებობას (Gugushvili, 2015).

ამგვარად, საკვლევი რეგიონის პრეკოლიზიური გეოდინამიკა, მაგმატიზმი და მეტალოგენია უკავშირდება ტეთისის ოკეანის ფილის ჩრდილოვერგენტულ სუბდუქციას სუტურების ფორმირებამდე. ნორმულმა სუბდუქციამ განაპირობა კუნძულთა რკალური ვითარება და მასთან დაკავშირებული კირ-ტუტე ვულკანიზმი და მეტალოგენია. გარკვეულ ეტაპზე სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციამ განაპირობა მანტიური დიაპირიზმი და კუნძულთა რკალური ვითარების ბეკარკის საწყის სტადიაზე გადასვლა. მანტიური დიაპირიზმის შემოჭრის ინტენსიფიკაციამ განაპირობა ბეკარკისა და ინტერარკის ფორმირება. ხოლო დიაპირიზმის შემდგომმა გაძლიერებამ ბეკარკის მცირე ოკეანურ ვითარებამდე მიიყვანა ოფიოლიტური ვულკანიზმით, ულტრაფუძე მაგმატიზმით და კვიპროსის ტიპის სპილენძის გამადნებით, რომელიც თუთიასა და ტყვიას შეიცავს კვალის დონეზე და რომელშიც ოქროს შემცველობა მინიმალურია. აღნიშნული დასტურდება ცენტრალური პონტიდების კიურეს მცირე ოკეანური კომპლექსის მაგალითზე, რომელიც კვიპროსის ტიპის სპილენძ-კოლჩედანურ საბადოებს აშიკოის და ბაკიბაბას შეიცავს (Ustaomer, Robertson 1993, 1997) და სამხრეთ-არმოსავლეთ თურქეთის ოფიოლიტური სარტყლის და მასტან დაკავშირებული კვიპროსის ტიპის საბადოების მადენკორი (სიირტისა) და მადენ (ელაზგის) მაგალითზე - Engin, 1999.

ნორმულ სუბდუქციას უკავშირდება კუნძულთა რკალური ვითარება, კირტუტე ანდეზიტური ვულკანიზმი, ცეოლიტური ფონური პროპილიტიზაცია და ოქრო-სპილენძპოლიმეტალური გამადნება. სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე და რიფტინგის გვიანდელ ეტაპზე დიდ სიღრმეზე შემოჭრილ მანტიურ დიაპირთან დაკავშირებულია შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური ვულკანური აქტივობა ქლორიტ-ალბიტურ და ცეოლიტურ პროპოლიტიზაციასთან ერთად და ოქრო-სპილენძპოლიმეტალური მეტალოგენია. ზოგჯერ რიფტინგის საწყის ეტაპზე მადანწარმოშობის პირველი ეტაპი წარმოდგენილია ოქროს მინერალიზაციით კვარც-კალიშპატურ მეტასომატიტებში, რომელთა ფორმირება ტუტე-კარბონატული მადანმატარებელი ფლუიდების ზემოქმედების შედეგია. რიფტინგის

ინტენსიფიკაციის შემდეგი ეტაპი განსაზღვრულია სუსტად ტუტე მაღალტემპერატურული ხსნარების ზემოქმედებით, რომელიც ოქროს შემცველ ჰიდროსულფიდებს შეიცავს, რამაც ბოლნისის მაღნიან რაიონში განაპირობა ოქროსპილენძპოლიმეტალური მადანწარმოშობა, სინმადნურ მაღალტემპერატურულ ეპიდოტ-ცოიზიტურ პროპილიტიზაციასთან ერთად. სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციის ამ ეტაპზე მადანწარმოშობის პროცესში, მონაწილეობს ბაზალტური ქერქი, მანტია და ჯერ კიდევ სიალური ქერქიც. ფილის ტრანსფორმაციის გაძლიერებას (რღვევა, დეტაქმენტი, დელამინაცია) მოჰყვა ინტენსიური ბეკარკული და ინტრარკალური რიფტინგი ტოლეიტ-ტუტებაზალტური ვულკანიზმით და ფონური ეპიდოტ-ცოიზიტური და აქტინოლითური პროპილიტიზაციით და სპილენძ-თუთიის კოლჩედანური გამადნებით. აქ მადანწარმოშობის პროცესში აღარ მონაწილეობს სიალური ქერქი. ამით აიხსნება ამ ვითარებაში მადანში ტყვიისა და ოქროს არ არსებობა. ფილის ტრანსფორმაციის შემდგომი ინტენსიფიკიისა და მანტიური დიაპირის მცირე სიღრმეზე შემოჭრის შედეგად ძლიერდება სპრედინგი და წარმოიქმნება ოკეანური ვითარება. აქ მადანწარმოშობის პროცესში უკვე აღარ მონაწილეობს არც სიალური და არც ბაზალტური ქერქი და მინერალიზაციის პროცესი და ოფიოლიტების ფორმირება ულტრაფურმე მაგმის ინტრუზული აქტივობით უშუალოდ მანტიურ დიაპირს უკავშირდება, რომლის წყაროს ასტენოსფერო წარმოადგენს. გამადნება აქ კვიპროსის ტიპის სპილენძ-კოლჩედანური მაღნით არის წარმოდგენილი და იგი არ შეიცავს ოქროსა და ტყვიას, ხოლო თუთია მხოლოდ კვალის დონეზე ფიქსირდება.

აჭარა-თრიალეთის რიფტული ზონის დასავლურ სეგმენტში ტოლეიტ-ტუტე ბაზალტურ ვულკანურ სერიაში არ არის ცნობილი სპილენძ-თუთიის კოლჩედანური სტრატიმორფული VMS ტიპის მადანი, რომელიც ზოგადად ახასიათებს ინტრარკალურ და ბეკარკულ რიფტებს. ტოლეიტ-ტუტებაზალტური სერია აქ ძლიერ მდიდარია სპილენძით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება კლარკულს. როგორც ჩანს, სპილენძი მანტიური დიაპირიდან არ გადადის ფლუიდურ ფაზაში და რჩება

მაგმურ მღლვარში. ანალოგიური ვითარება აღწერილი აქვს ტ. ფროლოვს სამხრეთ ურალის ინტრარკალური რიფტის ბაზალტურ სერიაში (Фролова и Бурикова, 1977).

ამავე დროს, აჭარის მადნიან რაიონში ცნობილია მნიშვნელოვანი პორფირული სპილენძ-პოლიმეტალური გამადნება. აქ ზედა ეოცენური სიენიტ-დიორიტული ინტრუზივების შტოკები, რომლებიც კვეთენ ტოლეიტ-ბაზალტურ წყებას და შოშონიტ-ტრაქიანდეზიტურ ვულკანიტებს ფართე კონტაქტმომიჯნე სერიციტიზაციის ორეოლით ხასიათდებიან. სერიციტიზაცია დიდ მოცულობას მოიცავს და შემცველ ქანებთან შედარებით ათჯერ გაღარიბებულია სპილენძით. სპილენძის გამადნება აქ, როგორც ჩანს, სერიციტიზაციის პროცესთან არის დაკავშირებული. ამავე დროს, სერიციტოლითები შემცველ ქანებზე გაცილებით მდიდარია ტყვიითა და თუთიით. სპილენძ-პოლიმეტალური გამადნება კონტაქტმომიჯნე სერიციტიზაციის ორეოლებშია ლოკალიზებული. სერიციტიზაციის პროცესში ხდებოდა სპილენძის გამოტუტვა შემცველი ქანებიდან, ხოლო ფლუიდები, რომელიც ახდენდნენ სერიციტიზაციას, იმთავითვე გამდიდრებული იყო იუვენილური ტყვიითა და თუთიით. ამან განაპირობა პორფირული სპილენძ-პოლიმეტალური გამადნება აჭარის მადნიან რაიონში.

* * *

აღსანიშნავია, რომ საკვლევ რაიონში სუბდუქციის ხასიათი და მასთან დაკავშირებული ვულკანიზმი და მეტალოგენია ცვალებადობს დროსა და სივრცეში სამი მიმართულებით: ვერტიკალურად - აღმავალ ჭრილში, სუბდუცირებული ფილის დაძირვის მიმართულებით სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ და ლატერალურად აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. ვერტიკალური მიმართულებით ადგილი აქვს სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციის გაძლიერებას ან შესუსტებას. ვერტიკალური მიმართულებით ბოლნისის მადნიან რაიონში, ნორმული სუბდუქციის მონაცვლეობა ფიქსირდება აღმავალ ჭრილში,

სადაც კირტუტე ვულკანური აქტივობა და მასთან დაკავშირებული მეტალოგენია მონაცვლეობს ბეკარკის საწყისი სტადიის ვულკანურ აქტივობასთან და მაღანერმოშობასთან. აჭარის მაღნიან რაიონში კი აღმავალ ჭრილში სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაცია სუსტდება და შუაეოცენური ტოლეიტურტებაზალტური სერია, ზედა ეოცენურ შოშონიტ-ტრანქიანდეზიტურ სერიასთან მონაცვლეობს (ნახ. 8.). მონაცვლეობა სივრცეში სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ გამოვლინდა ნორმული სუბდუქციის და კუნძულთა რკალური სიტუაციის მონაცვლეობით ბეკარკთან. ლატერალური მონაცვლეობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ინტერარკი, რომელიც დასავლური მიმართულებით შავი ზღვის მცირე ოკეანურ აუზს უერთდება და ბურგასის რიფტული ზონა (ბულგარეთი), რომელიც აღმოსავლეთისკენ შავი ზღვის დასავლეთ მცირე ოკენაურ აუზს უერთდება. ლატერალური ტრანსფორმაციის კიდევ ერთ მაგალითს ტალიშის ბეკარკი წარმოადგენს, რომელიც კასპიის ზღვის მცირე ოკეანურ აუზს უერთდება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ტალიშში აღმავალ ჭრილში - ვერტიკალურად შუა ეოცენიდან ზედა ეოცენისაკენ ტრანსფორმაციის გაძლიერების შედეგად, ოკეანური ვითარების ელემენტები ჩნდება დუნიტ-პერიდოტიტული ინტრუზიების სახით, აჭარა-თრიალეთის დასავლური სეგმენტისაგან განსხვავებით, სადაც ვერტიკალურად ტრანსფორმაციის შესუსტება ისახება და ტოლეიტ - ბაზალტურ სერიას შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური წყება ანაცვლებს. აჭარა-თრიალეთის რიფტი შუა ეოცენში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ კარგად განვითარებულ რიფტიდან, რომელიც ტოლეიტ-ტუტებაზალტური სერიითაა წარმოდგენილი შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური სერია ანაცვლებს (ნახ. 8.), რაც რიფტინგის შესუსტების მაჩვენებელია, იგი თავის მხრივ, ლატერალურად შუაეოცენურ ანდეზიტურ ვულკანურ სერიაში გადადის, რომელიც კუნძულთა რკალურ ვითარებას ასახავს.

2. პოსტკოლიზიური მეტალოგენია, მაგმატიზმი

და ჰიდროთერმული პროცესი

ევრაზიის და აფრო-არაბეთის კონტინენტების კონვერგენცია, ტეთისის ოკეანის დახურვით დასრულდა. აფრო-არაბეთის წნების შედეგად, ევრაზიის კონტინენტის კიდეზე გეოდინამიკური პროცესი პოსტკოლიზიურ სტადიაზე გადავიდა (Adamia et al., 2016). პოსტკოლიზიურ ეტაპზე დასრულდა სუბდუქციის პროცესი, თუმცა, ოროგენების ქვეშ სუბდუცირებული ფილის ტრანსფრომაცია გრძელდება, რომელმაც ოროგენული ინტრუზული აქტივობა და ნაოჭა სხლეტვითი სარტყლების ფორმირება განაპირობა. ფილის ტრანსფრომაციამ მძლავრი ოროგენული ქერქის ქვეშ, ასტენოსფეროს შემოჭრა გამოიწვია და მანტიიდან წამოსული მაღალტემპერატურული ფლუიდური ნაკადი წარმოშვა. მაღალტემპერატურული ფლუიდების ზემოქმედებამ მძლავრ ინტრუზულ სიალურ ქერქზე, ოქროსა და იშვიათ მეტალთა გამოტუტვა გამოიწვია, რაც პოსტკოლიზიური ვითარებისთვის დამახასიათებელ მეტალოგენიაში გამოიხატა.

პოსტკოლიზიური ვითარება და მადანწარმოშობა, რომელიც ნაოჭა-სხლეტვით სტრუქტურებს და პოსტოროგენულ ინტრუზულ აქტივობას უკავშირდება, განსხვავებულია პრეკოლიზიურისგან. გამადნება წარმოდგენილია როგორც პორფირული და ეპითერმული ტიპის ოქრო-პოლიმეტალური მინერალიზაციით, ისე მცირე სულფიდური ოქროსშემცველი კვარც-ანტიმონითური, შეელიტური, ვოლფრამიტული და ვერცხლისწყლის ძარღვულ-შტოკვერკული გამადნებით. პორფირულ და მცირე სულფიდურ გამადნებას ყოველთვის ახლავს იშვიათ მეტალთა (Sb,W, Mo, და Hg) ასოციაცია. საკვლევ რეგიონში პოსტკოლიზიური ვითარება და მასთან დაკავშირებული მეტალოგენია შესწვლილია ირანის ახარ-არასბარანის, ალბორც-აზერბაიჯანის და მეგრი-ორდუბადის მაგმურ სარტყლებში, ცენტრალური ირანის ბლოკში და სანანდაჯ-სირჯანის პალეოზოურ მეტამორფიტებში (ნახ. 10,11), კავკასიონის მთავარი ქედისა და მისი სამხრეთი ფერდის ზონაში (ნახ. 7.VI), მცირე კავკასიონსა და დასავლეთ ანატოლიდების პალეოზოურ მენდერესის მასივში

(ნახ.6.). პოსტკოლიზიური გამადნება ირანში კაინოზოურ პორფირულ საბადოთა სისტემას მიეკუთვნება და წრმოდგენილია ახარ-არასბარანის მეტალოგენური სარტყლის საბადოთა ჯგუფით (ნახ.10,11), რომელშიც შედის ოქრო-სპილენძ-პორფირული საბადოები სუნგუნი და მაზრა, ჰარვანას ჯგუფის ეპითერმული საბადოები (მივერუდი, ანდერიანი, ასტარგანი, ჰალფიანი და სხვები), სანანდაჯ - სირჯანის ზონის მიუტების საბადო, აღმოსავლეთ ირანის მაგმურ სარტყელთან დაკავშირებული საბადოები- ზარშურანი, აკდარები, კომი, დაშვესანი და სხვები (ნახ.10,11). ყველა ეს საბადო წარმოდგენილია ოქროს შემცველი პორფირული და ძარღვული პოლიმეტალური გამადნებით და უსულფიდო და მცირე სულფიდური ძარღვული მინერალიზაციით. ისინი უკავშირდება ოლიგო-მიოცენური ასაკის დაციტ-გრანიტოდიორიტულ და გრანიტულ ინტრუზულ შტოკებს, რომლებიც სხვადასხვა ასაკის პალეოზოურ და მეზოზოურ ქანთა კომპლექსებს ჰქვეთენ. თვით ეს სხეულები წარმოადგენენ სიღრმეული ფლუიდების გამტარებლებს (pathways). ფლუიდების ნაკადები ღრმა კერებიდან მოედინება ამ სხეულების გზით და ნაპრალთა სისტემისა და რღვევის ზონების გასწვრივ სახვადასხვა ასაკის ქანებში. აქ როგორც საკუთვრივ სულფიდურს ისე უსულფიდო ოქროს მინერალიზაციას ახლავს იშვიათ მეტალთა ასოციაცია.

მივერუდის საბადოზე (ჰარვანის ჯგუფი) იგი წარმოდგენილია Sb, Mo და W ასოციაციით. ოქროს შემცველი კვარც-ანტიმონიტური ძარღვები და მათი მადანმომიჯნე ზონა ასოცირებულია Sb, Mo, Zn, Pb, Te და Se-სთან. ჰარვანას ჯგუფის საბადოთა შემცველი ქანების გეოქიმიური ფონი შეიცავს Cu 200-253 ppm, Au 88-121 ppb, Mo-3.0-5.7 ppm, W-6.3-7.1 ppm, Pb-120-517 ppm; Zn-121-160 ppm, Sb 7-10 ppm. მოვედრუდის საბადოზე საკუთრივ სულფიდური ოქრო-პოლიმეტალური მადანი იშვიათ მეტალებთან ერთად შეიცავს Zn-Ag-Sb-ის და Pb-Bi-ის ოქსიდებს და ვერცხლის შემცველ-ანტიმონიტურ ვოლფრამიტებს.

ალბორცის მაგმურ სარტყელში, ცენტრალური ირანის ბლოკში და სანანდაჯ-სირჯანის ზონაში თქროპორფირული და ოქრო-პოლიმეტალური ძარღვული და შტოკვერკული მინერალიზაცია უკავშირდება ოლიგო-მიოცენურ დაციტურ, გრანიტოდიორიტ-პორფირულ და გრანიტოიდულ ინტრუზულ შტოკებს, რომლებიც კვეთენ პალეოზურ-მეზოზოურ მეტამორფულ და დანალექ ქანთა კომპლექსს (ირანის გეოლოგიური სამსახურის ანგარიში, 2007; Moritz et al., 2006).

ოქრო-სპილენდპოლიმეტალური გამადნება, ასოციირებული Sb, Mo, Hg და W-თან, ცნობილია აღმოსავლეთ ირანის მაგმურ სარტყელშიც და წარმოდგენილია ზარშურანის კარლინის ტიპის საბადოზე, აკდარეხის მადანგამოვლინებაზე, დაშქესანის საბადოზე, ბინალუდის ოქროსშემცველ ტყვია-თუთიის საბადოზე, აგრეთვე ხაშ-ზადეხანის პოლიმეტალურ ოქრო-ანთიმონიტურ მადნიან ველში, სადაც პალეოგენური ფლიში გაკვეთილია ოლიგო-მიოცენური სუბვულკანური და ჰიპაბისური გრანიტოიდებით, რომლებიც აკონტროლებენ ვერცხლისწყლის და ანთიმონიტის მინერალიზაციას. ამგვარად პოსტკოლიზიური ოქროს მინერალიზაცია ირანში უკავშირდება ირანის ოლიგო-მიოცენურ მაგმურ პროვინციას რომელსაც ახლავს იშვიათ მეტალთა ასოციაცია წარმოდგენილი Sb, Mo, Hg და W (ნახ.10).

პოსტკოლიზიური ვითარება ირანიდან მცირე კავკასიაში გრძელდება მეგრი-ორდუბადის კაინოზოურ მაგმურ პროვინციაში, სადაც მიოცენ-ოლიგოცენური ასაკის ინტრუზულ შტოკებს ოქრო- მოლიბდენის მნიშვნელოვანი გამადნება უკავშირდება, რომელიც აგრეთვე შეიცავს Sb, W და Hg. ოლიგო-მიოცენურ დაციტ-პორფირულ შტოკებთან სევან-აკერის სუტურაში მნიშვნელოვანი ოქროს საბადოები ზოდი და მეპრადზორია ცნობილი ოქროს მინერალიზაციას აქაც ახლავს Sb და W, იგი ოქროს შემცველ კვარც - ანთიმონიტური გამადნებითაა წარმოდგენილი (Melikian, 1977).

იშვიათ მეტალთა (Sb, Mo, Hg და W) და ოქროს პოსტკოლიზიური მინერალიზაცია ცნობილია კავკასიონის ნაოჭა-სხლეტვით ზონაში (ნახ.7, VI). აქ ეპითერმული ძარღვული გამადნება უკავშირდება პოსტკოლიზიური განვითარების სტადიას. ამ

მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზოფხითოს საბადო. ზოფხითოს საბადო აგეგმილი და დეტალურად შესწავლილია შ.ხადურის მიერ. მის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ანგარიშებშია ასახული (1980-1990). გამადნება აქ წარმოდგენილია კვარც-ანთიმონიტური ძარღვებით და ოქრო-სპილენძპოლიმეტალური მინერალიზაციით. მადანმომიჯნე შეცვლილი ზონა გაკვარცებით, სერიციტიზაციით და პირიტიზაციით ხასიათდება. ისიც ოქროს და Sb-ს შემცველია. მადანშემცველი ძარღვები კვეთენ ქვედა იურულ ფიქლებს. ოქროს შემცველობა ძარღვებში 4.35 გ/ტ უდრის, ვერცხლისა-4.15 გ/ტ. ოქროს მარაგი ამ საბადოზე 34 ტონას აღემატება, Sb -41223ტ., ვერცხლისა-39 ტონაა.

ზოფხითოს საბადოს ფორმირება გვიანალპურ აქტივიზაციას უკავშირდება (G.Tvalchrelidze, 1984), პოსტკოლიზიური მინერალიზაცია კავკასიონის მთავარი ქედისა და სამხრეთ ფერდის ფარგლებში ნაოჭა-რღვევითი სარტყელშია მოქცეული. აქ ცნობილია აგრეთვე ოქროს შემცველი იშვიათ მეტალთა გამადნება (Au, Sb, Mo, Hg და W) ავადხარის, ახეის, ნოცარულასა და სხვა მადანგამოვლინებებზე. გამადნებას აკონტროლებს ოლიგო-მიოცენური დაციტური ექსტრუზიები და გრანოდიორიტული ინტრუზული შტოკები.

ძარღვული ტიპის ოროგენული წარმოშობის მეორე მნიშვნელოვან საბადოს ლუხუმი წარმოადგენს. გამადნება აქ ოქრო-არსენოპირიტ - ანთიმონიტურია. მინერალიზაციას აკონტროლებს მსხვრევისა და რღვევის ზონები ზედა ლიასურ ფიქლებსა და კირქვებში. გამადნება წარმოდგენილია კვარც-ანთიმონიტისა და კვარც-ანთიმონიტ-რეალგარ-აურიპიგმენტის ძარღვებით და კვარც-ანთიმონიტ-კარბონატული და კვარც-შეელიტური შტოკვერკებით. ოქროს შემცველობა ძარღვში 5.10 გ/ტ-ს უდრის, As- 6.7%,,, Sb-7.37 %,, მადნის მარაგი 483000 ტონაა, რომელიც Au-14.04 ტ., Sb-2580 ტ, As 1800ტ შეიცავს.

კავკასიონზე, რეგიონურ რღვევას უკავშირდება ოკრილა-აჩაპარას მადანგამოვლინება (Окросцваридзе, Блуашвили, 2008). აქაც ოქრო Sb და W-თან ასოციირდება, გამადნება

წარმოდგენილია კვარც-შეელიტური, კვარც-პირიტის, კვარც-პოლიმეტალური და ოქროს შემცველი კვარცის ძარღვებით, მადანმომიჯნე ზონა გაკვარცებულია, ქლორიტიზირებული და გასერიციტებული. ოქროს შემცველობა მადანში 3-4 გ/ტ უდრის. ოქრო უკავშირდება კვარც-პირიტ-არსენოპირიტის, გალენიტის და სფალერიტის შემცველ ძარღვებს Sb და W-თან ასოციაციაში.

კავკასიონის ნაოჭა-სხლეტვით ზონაში იშვიათ მეტალთა მრავალი მადანგამოვლინებაა ცნობილი. მათ შორის კარობის მოლიბდენის საბადო, რომელიც 9.8% მოლიბდენს შეიცავს (მოლიბდენის მარაგია აქ 50 ტონას უდრის), ნოცარას მადანგამოვლინება შეელიტის გამადნებით - W-3.5 %, Au 2.30გ/ტ (50 ტ W და 18882 კგ Au). ამ გამადნებას აქ კაინოზოური ასაკის გრანიტოიდული შტოკები აკონტროლებს. გავრცელებულია, აგრეთვე, ვერცხლის წყლის მადანგამოვლინებები ახეი - Hg-0.34% (2546 ტ მარაგით), ავადხარა Hg-0.29% (1353ტ), ახახჩა Hg-0.5% 2200ტ). მინერალიზაციაში ანთიმონიტიც მონაწილეობს. გამადნება ლოკალიზებულია ქვედა იურულ ფიქლებში და რღვევის ზონებით კონტროლდება. პოსტკოლიზიურ თქროს მინერალიზაცია Hg და Sb-თან ასოციაციაში ცნობილია მენდერესის პალეოზოურ მასივშიც (დასავლეთი ანატოლიდები). იგი წარმოდგენილია კურგუნლუს, ემირლის და ჰალიკოის საბადოებით (ნახ.6). ისინი კაინოზოური რღვევებით და მსხვრევის ზონებით კონტროლდება. ოქროს მინერალიზაცია აქაც ასოციირებულია Sb, W და Hg (Yigit, 2009). რღვევის ზონებთან დაკავშირებული ოქროს მინერალიზაცია ცნობილია აგრეთვე აღმოსავლეთ როდოპებში ადა-ტეპეს საბადოზე (Marchev et al., 2004).

ამგვარად საკვლევ რეგიონში პოსტკოლიზიური გამადნება ყველგან ნაოჭა-რღვევით ზონებითა და ოროგენული გრანოდიორიტ-დაციტპორფირული ინტრუზული შტოკებით კონტროლდება. იგი ზედადებულია სხვადასხვა ასაკის (პალეოზურიდან-კაინოზოურამდე) ფანეროზოურ ქანთა კომპლექსებზე. გამადნება წარმოდგენილია ოქრო-სპილენდპორფირული და მცირესულფიდური ძარღვულ-შტოკვერკული ოქროს და იშვიათ მეტალთა (Sb, Mo, Hg და W) მინერალიზაციით. იშვიათ მეტალთა ეს

ასოციაცია ახლავს როგორც ოქრო-სპილენძპორფირულს და პოლიმეტალურ გამადნებას, ისე მადანშემცველ ქანთა კომპლექსს, როგორც მადანმომიჯნე ზონაში ისე მის გარეთ.

პოსტკოლიზიური ვითარება ძირითადად ტეთისის ოკეანის სრულ დახურვას და აფრო-არაბეთისა და ევრაზიის კონტინენტების კონვერგენციას უკავშირდება, რომელსაც პასიური კიდის ევრაზიის აქტიურ კიდეზე ძლიერი წნები განაპირობებს. მას ოროგენეზი (მთათა წარმოშობა), ნაოჭა-სხლეტვითი ტექტონოგენეზი და სინოროგენული გრანიტოიდული, გრანოდიორიტ - პორფირული და დაციტპორფირული ინტრუზული აქტივობა უკავშირდება, რომელიც აკონტროლებს ოქრო-პოლიმეტალურ და ოქროს მცირე სულფიდურ და იშვიათ მეტალთა გამადნებას. პოსტკოლიზიური განვითარების ამ ეტაპის გეოქიმიურ ინდიკატორებს იშვიათ მეტალთა კომპლექსი (Sb, W, Mo, Hg) წარმოადგენს. ამგვარი ვითარება საკვლევი რეგიონის ფარგლებში ირანში, კავკასიასა და თურქეთშია დადგენილი. ამავე დროს, სინორეგენული ინტრუზული აქტივობის ასაკი ყველგან ოლიგოცენ-მიოცენით თარიღდება და ყველგან მას პოსტკოლიზიური ვითარების ინდიკატორი, იშვიათ მეტალთა ასოციაცია ახლავს. ამდენად, სუბდიუქციის დასასრული, ოკეანის სრული დახურვა და ოროგენეზისი და მასთან დაკავშირებული ინტრუზული აქტივობა სრულყოფილ პოსტკოლიზიურ ვითარებას ასახავს და ისიც ოლიგოცენ-მიოცენურით თარიღდება. ეს იმით დასტურდება, რომ სუტურების ფორმირების ბოლო ეტაპიც IAES და ინტრაპონტიდების სუტურების მაგალითზე ზედა-ეოცენ-ოლიგოცენით თარიღდება. პოსტკოლიზიური განვითარების შემდეგი ეტაპი პოსტმიოცენ-მეოთხეულ ვულკანიზმში გამოვლინდა.

პოსტკოლიზიური ვულკანიზმის კავშირი გეოდინამიკურ ვითარებასთან, დეტალურად არის შესწავლილი ი.დილევის, ნ.იმამვერდიევის და შ.ალტუნკაინავის მიერ (Dilek et al., 2010). მათი კვლევის ობიექტი მოიცავს არაბეთის ტერიტორიას, ირანს, მცირე კავკასიონს და აღმოსავლეთ თურქეთს. აქ მათ შეისწავლეს

პოსტკოლიზიური კირტუტე დაციტური, შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური და ტოლეიტ-ტუტე ბაზალტური ვულკანიზმი და დაადგინეს დროსა და სივრცეში ასტენოსფეროს გავლენა ვულკანიზმის ხასიათზე. კერძოდ, მანტიური გავლენის პირველი ეტაპი გვიან მიოცენურ - ადრე პლიოცენურია და შოშონიტ-ტრაქიანდეზიტურ ვულკანიზმში გამოვლინდა. შემდეგ, პლიოცენ-მეოთხეულში, იწყება ტოლეიტ-ტუტე ოლივინიან ბაზალტური ვულკანიზმი, რომელიც მანტიური მასალის უფრო ინტენსიური გავლენითაა განპირობებული და ტოლეიტ-ტუტებაზალტურ და ტრაქიანდეზიტურ სერიების ფორმირებაში გამოიხატა. იგი პეტროქიმიურად და გეოქიმიური მახასიათებლებით პრეკოლიზიური ინტერარკულ-ბეკარკულ რიფტულ ვულკანიზმს შეესაბამება, თუმცა აქ რიფტინგი არსად არ დასტურდება და იგი ღრმა კერებიდან ნაპრალური ამოფრქვევებით არის განპირობებული. აღსანიშნავია, რომ პოსტკოლიზიურ ვულკანიზმს აქ არ უკავშირდება მადანწარმოშობა ან იგი ჯერ არ არის გამოვლენილი პოსტმიოცენური ვულკანური სერიების სუსტი ეროდირების გამო.

საკვლევ რეგიონში პოსტკოლიზიურ ვულკანურ აქტივობას დროში წინ უსწრებს ოლიგოცენ-მიოცენური დაციტპორფირული და გრანოდიორიტ-პორფირული მაგმატიზმი, რომელსაც ოქრო-სპილენძპორფირული და ოქროს მცირე სულფიდური მადანწარმოშობა უკავშირდება, იშვიათ მეტალთა ზემოხსენებულ ასოციაციასთან (Sb, W, Mo, Hg) ერთად. ეს ასოციაცია, როგორც აღინიშნა, ამ ეტაპის პოსტკოლიზიური ვითარების ინდიკატორია.

ანალოგიური სიტუაცია დამახასიათებელია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის პოსტკოლიზიური ვითარებისათვის, ოქროსა და იშვიათ მეტალთა ასოციაცია ფიქსირდება ტეთის-ევრაზიურ მეტალოგენურ სარტყელში მურუნტაუს ჯგუფის საბადოთა მაგალითზე. ალტაიდების ოროგენულ სისტემაში, რომლის ფორმირება გვიანპალეოზოურ კოლიზიას უკავშირდება. აქ გიგანტურ ოქროს საბადოთა წარმოშობა (მურუნტაუ, კუმტორი, ჩოლბოი და სხვა) უკავშირდება ტიანშანის

პროვინციაში ფინალური ამალგამიზაციის და კოლაჟის ეტაპს(Yakubchuk et al., 2002). ოქრო აქ ასოციაციაშია Sb, Mo, და W.

კუმტორის საბადოზე დადგენილია : Au, W, Cu, Te, Ag, Pb, Sn, Sb-ის თანაარსებობა.

მურუნტაუს საბადოზე: Au, As, W, Bi, Te, Cu.

ჩალბოის საბადოზე : Au, Sb, Hg, Pb და Zn.

დაუგუზტაუს და ამანტაიტაუს საბადოებზე: Au, Ag, As, Sb, Mo, W და Cu.

ოქროს მინერალიზაციის მსგავსი კავშირი იშვიათ მეტალთა კომპლექსთან დადგინდა იუკონში (კანადა) ტომბსტონის ოქროს სარტყელში. აქ პოსტკოლუზიური მინერალიზაცია დაკავშირებულია იურულ-ცარცულ ოროგენეზთან და კონტროლდება სინოროგენული ინტრუზივებით. გეოდინამიკური განვითარება აქ უკავშირდება ჩრდილო ამერიკის კონტინენტის ტრიასულ-ცარცულ კონვერგენციას ფარალონის ფილასთან, რომელმაც განაპირობა ოკეანური ტერეინის და კონტინენტის კიდის კოლიზია. ოქროს მინერალიზაციას ახლავს Te, ,Bi, As, W და Sb-ის ასოციაცია. ოქროს გამადნება უკავშირდება კვარცის ძარღვებს W Au, Ag, Pb, Zn, Sb - თან ასოციაციაში (Mair et al., 2006).

მსგავსი ვითარება და მინერალიზაცია დადგენილია სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიაში, დასავლეთ ლაზლანის ოროგენში, სადაც სინკოლიზიური ოქროს მინერალიზაცია ასოციაციაშია Bi, Te, As, W, Mo, Sn Sb-თან.

ამგვარად, პოსტკოლიზიურ ვითარებაში ოროგენეზისთან და ოროგენულ ინტრუზულ მაგმატიზმთან დაკავშირებულია უმნიშვნოლოვანესი ოქროს საბადოები, სადაც ოქრო ასოციაციაშია Sb, W, Hg და Mo. მათ შორის არიან ოქროს გიგანტური საბადოები-მურუნტაუ (Au – 175 მლნ უნციის შემცველობით), კუმტორი (19 მლნ უნცია Au) და ზარმიტანი (11.2 მლნ. უნცია Au). აღსანიშნავია, რომ Sb, W, Hg და Mo ასოციირდება პოსტკოლიზიურ ოროგენულ და ინტრუზულ აქტივობასთან

დაკავშირებულ ოქროს საბადოებთან. მათი მონაწილეობა არ ფიქსირდება პრეკოლიზიურ ბეკარკულ, ინტერარკულ და ოკეანურ ვითარებაში. მათ შორის მხოლოდ Mo მონაწილეობს კუნძულთა რკალური ვითარების გამადნებაში, რომელიც არ ხასიათდება Sb, W, Hg მონაწილეობის ტენდენციით. ამავე დროს უმნიშვნელოვანესი და გიგანტური Mo საბადოები დაკავშირებულია პოსტკოლიზიურ ვითარებასთან. ასეთებია კაჯარანი და აგარაკი საკვლევ რეგიონში.

ამგვარად, პოსტკოლიზიური პროცესი საკვლევი რეგიონის ფარგლებში, იყოფა ორ ეტაპად. პირველი - ოლიგოცენ-მიოცენური, დაკავშირებულია პოსტოროგენულ ტექტოგენიზთან და გრანიტოიდულ ინტრუზულ აქტივობასთან. მას უკავშირდება ოქრო-სპილენდპორფირული, პოლიმეტალური და ეპითერმალური მცირე სულფიდური ოქროს მინერალიზაცია, იშვიათ მეტალთა ასოციაციასთან (Sb, W, Mo, Hg) და საკუთრივ ამ მეტალთა საბადოებთან. ეს იშვიათი მეტალები, ამავე დროს, პოსკოლიზიური ვითარების გეოქიმიურ ინდიკატორებს წარმოადგენენ. ამ ეტაპის პოსტკოლიზიური პროცესი ზედადებულია სხვადასხვა ასაკისა და შემადგენლობის პრეკოლიზიურ ვითარებაში ფორმირებულ ქანთა კომპლექსებზე. აღნიშნული იშვიათი მეტალები არ არის დამახასიათებელი პრეკოლიზიური ვითარებისათვის და ისინი წარმოადგენენ პოსტკოლიზიური პროცესის გეოქიმიურ ფონს. პოსტკოლიზიური პროცესის მეორე ეტაპი წარმოდგენილია პოსტმიოცენური-პლიოცენ-მეოთხეული შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური და ტოლეიტ-ტუტებაზალტური ვულკანიზმით. იგი ხასიათდება პრეკოლიზიური ვითარების ინტერარკული და ბეკარკული რიფტების ანალოგიური ვულკანური სერიების გეოქიმიური და პეტროქიმიური ინდიკატორებით. თუმცა, იგი არ ხასიათდება რიფტინგით, არ შეიცავს გამადნებას და წარმოადგენს ღრმა კერებიდან ნაპრალური ამოფრქვევის პროდუქტს.

ამგვარად, პოსტკოლიზიური ოქრო-სპილენდ-პოლიმეტალური მეტალოგენია ხასიათდება შემდეგი მახასიათებლებით :

- გამადნება წარმოდგენილია პორფირული და ეპითერმული ძარღვულ-შტოკვერკული მადნებით. აქ არსად არ არის დადგენილი სტრატიფორმული VMS-ტიპის მინერალიზაცია.
- დადასტურდა მადანწარმოშობის კავშირი ოროგენების ნაოჭა-რღვევით სტრუქტურებთან და ოროგენული ეტაპის მაგმურ აქტივობასთან.
- პოსტკოლიზიურ ვითარებაში გამადნება ხასიათდება ოქროს მაღალი შემცველობით ასოციაციაში იშვიათ მეტალთა ჯგუფთან (Sb, W, Hg და Mo), როგორც საკუთრივ სულფიდურ , ისე მცირე სულფიდურ და უსულფიდო მადნებში და შემცველ ქანებში. აღნიშნული იშვიათი მეტალები აქ ოქროს საძიებო კრიტერიუმს წარმოადგენენ.
- პოსტკოლიზიურ ვითარებაში იშვიათი მეტალები წარმოდგენილნი არიან საკუთარი გამადნებით. კერძოდ, ანთიმონიტის, შეელიტის, ვოლფრამიტის და ვერცხლის წყლის საბადოებით.
- ოქროს და იშვიათ მეტალთა გენეზისი პოსტკოლიზიურ ვითარებაში დაკავშირებულია დიდ სიღრმეზე სუბდენირებული ფილის ტრანსფორმაციასთან და მაღალტემპერატურული ფლუიდების ნაკადის ლითოსფეროში შეღწევასთან . ფლუიდები მძლავრი ოროგენული სიალური ქერქიდან გამოტუტავენ ოქროსა და იშვიათ მეტალებს პორფირული და ეპითერმული ძარღვულ-შტოკვერკული გამადნების ფორმირებით.
- პოსტკოლიზიური ვითარება ხასიათდება ინდიკატორ იშვიათ მეტალთა (Sb, W, Hg და Mo) მაღალი გეოქიმიური ფონით. ამდენად იშვიათ მეტალთა ეს ასოციაცია, ამავე დროს ზოგადად პოსტკოლიზიური ვითარების ინდიკატორია. აღსანიშნავია, რომ პრეკოლიზიურ ვითარებაში, მათი მონაწილეობა არ არის დამახასიათებელი, გამონაკლისს მოლოდ მოლიბდენი წარმოადგენს.

შედეგების განხილვა და ანალიზი

საკვლევ რეგიონში, ევრაზიის აქტიური კიდის ფარგლებში გეოდინამიკის მეტამორფიზმის, მაგმატიზმის (ვულკანიზმის), პოსტვულკანური ჰიდროთერმული აქტივობისა და ოქრო-სპილენძპოლიმეტალური მეტალოგენიის კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტენდეციები:

ევრაზიის აქტიური კიდის გეოდინამიკური განვითარება პრეკოლიზიურ და პოსტკოლიზიურ სტადიებში აისახა. პრეკოლიზიური სტადია ტეთისის ოკეანური ფილის ჩრდილოვერგენტული სუბდუქციას უკავშირდება ევრაზიისა და აფრო-არაბეთის კონტინენტების კორვენგენციის პროცესში, რომელიც გვიან პროტეროზოურში იწყება და ეოცენში ოკეანის სრული კოლიზიით და დახურვით სრულდება. სუბდუქციის პროცესში ხდებოდა აფრო-არაბეთის პასიური კიდიდან ტერეინების მოწყვეტა და მათი ევრაზიის აქტიური კიდისკენ მიგრაცია. კონვერგენციის პროცესში ტერეინების გამყოფი ოკეანური შტოების კოლიზიის შედეგად მათ შორის ოკეანური სუტურების ფორმირება ხდება. ოკეანის კოლიზიის შემდეგ აფრო - არაბეთის კონტინენტის ევრაზიის კიდეზე მიჯრისა და მისი ძლიერი წნების შედეგად პოსტკოლიზიური განვითარების სტადია იწყება.

რეგიონის გეოლოგიური და გეოდინამიკური განვითარება სუბდუქციის პროცესით არის განპირობებული. პრეკოლიზიურ სტადიაზე ოკეანის სრულ დახურვამდე მეტამორფიზმის, ვულკანიზმის, პოსტვულკანური აქტივობისა და მადანწარმოშობის პროცესი სუბდუქციით რეგულირდება, ხოლო პოსტკოლიზიურ სტადიაზე სუბდუქციის პროცესი მთავრდება, თუმცა ოროგენის ქვეშ დიდ სიღრმეზე მოქცეული სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაცია გრძელდება, რომელიც მანტიური დიაპირის აღშფოთებას და მასთან დაკავშირებულ სითბურ - ფლუიდური ნაკადის აღმასვლას განაპირობებს. პირველ ეტაპზე იგი პოსტოროგენულ ნაოჭა-სხლეტვის ზონებთან დაკავშირებულ მაგმატიზმს, ჰიდროთერმულ აქტივობას და

მადანწარმოშობას აკონტროლებს და შოშონიტი - ტრაქიანდეზიტური და ტოლეიტ-ტუტებაზალტური ვულკანიზმით სრულდება.

პრეკოლიზიურ ვითარებაში სუბდუქციის პირველი ეტაპი ნორმული სუბდუქციითაა წარმოდგენილი. ამ ეტაპზე სუბდუცირებული ფილა ტრანსფორმაციის გარეშე იძირება მანტიაში და მას მანტიური დიაპირის აღშფოთება არ ახლავს. სუბდუქციის პირველი ეტაპს რეგიონალური მეტამორფიზმიც უკავშირდება.

ფანეროზოულში რეგიონული მეტამორფიზმი უმჭიდროესად უკავშირდება სუბდუქციის პროცესს. სუბდუქციის საწყის ეტაპზე, ჯერ კიდევ სუბდუცირებული ფილიდან ანდეზიტური მლლვარის გამოდნობამდე, დიდ სიღრმეზე, მაღალი წნევით და სუბდუქციით გამოწვეული მაღალი სითბური და ფლუიდური ნაკადის ზემოქმედების შედეგად ლითოსფეროში იწყება რეგიონული მეტამორფიზმი მაღალტემპერატურული გრანულიტური და ალმადინ-ამფიბოლიტური ფაციესების ფორმირებით, რომლებიც აღმავალ ჭრილში უფრო დაბალტემპერატურულ ეპიდოტ-ამფიბოლიტურ და მწვანე ფიქლების მეტამორფიზმში გადადის. რეგიონული მეტამორფიზმის ტემპერატურა $350-750^{\circ}\text{C}$ ფარგლებში მერყეობს 4000 ბარის წნევის პირობებში. ამ ტემპერატურაზე და მაღალი წნევის პირობებში შესაძლებელი იყო სუბდუცირებული ფილიდან და ლითოსფეროდან, ანდეზიტური მლლვარის გამოლღობამდე, გრანიტული მლლვარის გამოდნობაც, რომელიც განაპირობებს გრანიტ-მეტამორფული კომპლექსის ფორმირებას. ამგვარად, რეგიონალური მეტამორფიზმი წინ უსწრებს კირ-ტუტე ანდეზიტურ ვულკანურ აქტივობას. ეს თანმიმდევრობა კავკასიის მაგალითზეც დასტურდება. აქ ჰერცინული მეტამორფული კომპლექსის ფორმირება კავკასიონის კრისტალურ გულში დევონ-კარბონით თარიღდება, შეუა კარბონში კი მას ანდეზიტ-დაციტ-რიოლითური ვულკანიზმი მოსდევს. მეორე მაგალითი ცნობილია ამიერკავკასიის მთათაშუეთში, სადაც გვიან-პალეოზოურ - ადრე იურული ასაკის ანდეზიტ-დაციტური კირტუტე ვულკანური სერია (ქვედა ტუფიტები) განლაგებულია ლოქისა და ძირულის

პალეოზოურ-გრანიტ-მეტამორფულ კომპლექსზე. რეგიონალური მეტამორფიზმისა და კირ-ტუტე ვულკანიზმის ამგვარი თანმიმდევრობა ფანეროზოურში ცნობილია მსოფლიოს სხვა რეგიონშიც, რაც იმას ადასტურებს, რომ ანდეზიტური მაგმის გამოლლობას, სუბდუცირებული ფილიდან, წინ უძღოდა რეგიონალური მეტამორფიზმი (Гугушвили, 1980). ამგვარი თანმიმდევრობა აღწერილია უელსის ლეიკის ოლქში. აქ რეგიონული მეტამორფიზმი ამფიბოლიტებითაა წარმოდგენილი, რომელთა ასაკი 475-420 მლნ წელს შეესაბამება და იგი წინ უძღოდა პალეოზოური ასაკის კირტუტე ვულკანურ აქტივობას (Read, 1961). მეორე მაგალითი აღწერილია დასავლეთ ევროპის ჰერცინულ სარტყელში (მილდანუბის სტრუქტურული ზონა), სადაც მიგმატიტები, რომელთა ასაკი 340-320 მლნ წელია, გადაფარულია კარბონული ასაკის მოლასით, რომელიც შეიცავს ტრაქიანდეზიტური ვულკანურ სერიას (Сатон, 1967). ასევე, წყნარი ოკეანის რგოლში, მძლავრ ანდეზიტურ სერიას ქვეშ უდევს რეგიონალური მეტამორფიზმის სარტყელი (Miashiro, 1972). აღსანიშნავია, რომ მეტამორფული აქტივობის ეპიზოდები, ყოველთვის როდი მთავრდება სუბდუცირებული ფილიდან ანდეზიტური მაგმის გამოლლობითა და ვულკანიზმით. ამ შემთხვევაში სითბური ნაკადის ზემოქმედება სუბდუქციის პროცესში, არ აღემატება გრანულიტური და ამფიბოლიტური ფაციესების ფორმირებას, რომლებიც აღმავალ ჭრილში ტრანსფორმირდება ეპიდოტ-ამფიბოლიტურ, პრენიტ-პუმპელიტურ, მწვანე ფიქლებისა და ცეოლიტურ ფაციესებში (Гугушвили, 1980). რეგიონული მეტამორფიტები, პოსტვულკანური მეტასომატიტებისგან განსხვავებით, ყოველთვის ხასიათდება ფიქლებრივი ან გნეისური ტექსტურით, რაც აიხსნება მათი ფორმირებით დიდ სიღრმეზე, მაღალი წნევის პირობებში. ამავე დროს, რეგიონული მეტამორფიზმის პროცესს არასდროს არ ახლავს მასთან უშუალოდ დაკავშირებული მადანწარმოშობა, თუმცა მეტამორფულ კომპლექსში ცნობილია სხვადასხვა სახის გამადნება და საბადოები, მაგრამ ისინი ყოველთვის ზედდადებულია და მეტამორფიზმის შემდგომი პროცესების ზემოქმედების შედეგი უნდა იყოს.

ნორმული სუბდიუქციის შემდეგ ეტაპზე, სითბური ნაკადის ტემპერატურის გაზრდამ გამოიწვია სუბდიუცირებული ფილიდან ანდეზიტური მლოვარის გამოდნობა, კირტუტი ვულკანიზმი და ოქრო-სპილენძ-ტყვია-თუთიის მადანწარმოშობა. მას მოსდევს სუბდიუცირებული ფილის ტრანსფორმაცია (დეფორმაცია, გაღუნვა, რღვევა, დეტაქტირებული და დელამინაცია). ფილის ტრანსფორმაციამ სუბდიუქციის პროცესში მანტიური დიაპირის შემოჭრა გამოიწვია, რომელსაც თან სდევს ინტერარკული და ბეკარკული რიფტინგი, საწყის ეტაპზე მას შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური ვულკანიზმი უკავშირდება. მანტიური დიაპირის შემოჭრისა და რიფტინგის გაძლიერებასთან ერთად, იგი ტოლეიტ-ტუტე ბაზალტური ვულკანიზმით იცვლება, რომელსაც ახლავს მაღალტემპერატურული ეპიდოტ-ცოიზიტური პროპილიტიზაცია და სპილენძ-თუთიის კოლჩედანური გამადნება. მანტიური დიაპირის შემოჭრის შემდგომმა გაძლიერებამ ბეკარკული რიფტის მცირე ოკეანურ ვითარებაში ტრანსფორმაცია განაპირობა ოფიოლიტური ვულკანიზმით, ულტრაფურე დუნიტ-პერიდოტული მაგმატიზმით, ეპიდოტ - ცოიზიტ - აქტინოლითური პროპილიტიზაციით, სერპენტინიზაციით და კვიპროსის ტიპის სპილენძ-კოლჩედანური გამადნებით. ყოველივე ზემოთქმული დასტურდება, როგორც საკვლევ რეგიონში, ისე მსოფლიოს სხვა ანალოგიურ გეოდინამიკურ ვითარებაში არსებულ რეგიონებში.

კუნძულთა რკალურ ვითარებაში მადანწარმოშობის პროცესი სიალური, ბაზალტური ქერქისა და მანტიის მონაწილეობით კონტროლდება. ოქრო-სპილენძ-ტყვია-თუთიის გამადნებაში სიალური და ბაზალტური ქერქი და მანტიაც მონაწილეობს, რადგან სუბდიუცირებული ფილა, საიდანაც ხდება ანდეზიტური მაგმის გამოდნობა, მანტიაში იძირება. ბეკარკების ფორმირებაში აღარ მონაწილეობს სიალური ქერქი და მადანწარმოშობის პროცესი აქ ბაზალტური ქერქისა და მანტიის მონაწილეობით კონტროლდება. რაც შეეხება ოკეანურ ვითარებას, მისი ფორმირება ძირითადად მანტიის მონაწილეობითაა განპირობებული და კვიპროსის ტიპის სპილენძ-კოლჩედანური მინერალიზაციით ხასიათდება. მადანწარმოშობის პროცესში აქ არ

მონაწილეობს არც სიალური და არც ბაზალტური ქერქი. აქედან გამომდინარე, ვვარაუდობთ, რომ ოქროსა და ტყვიის ძირითადი წყარო სიალური ქერქია, თუთიისა -ბაზალტური ქერქი, ხოლო სპილენძის წყარო მანტია უნდა იყოს.

კავკასიის რეგიონის მაგალითზე მკაფიოდ ისახება ნორმული სუბდეუქციის და ფილის ტრანსფორმაციის და მათთან დაკავშირებული ვულკანიზმის და ოქრო-სპილენძპოლიმეტალური მადანწარმოშობის მონაცვლეობა დროსა და სივრცეში, როგორც ფილის დაძირვის მიმართულებით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, ისე ლატერალურად, ფილის დაძირვის მიმართ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. აქ შემდეგი თანმიმდევრობა ისახება: კავკასიის სამხრეთ ფერდზე, პალეოზოურ დიზის სერიაში, ნორმულ სუბდეუქციას ანდეზიტ-დაციტ-რიოლითური კირტუტე წყება უკავშირდება, ჩრდილოეთისკენ, კავკასიის წინა ქედის ფარგლებში, ამ ფილის ტრანსფორმაციით და მანტიური დიაპირის შემოჭრით განპირობებული პალეოზოურ-ტრიასული ბეკარკი ყალიბდება, ტოლეიტური ვულკანური აქტივობითა და სპილენძ-თუთიის გამადნებით (ხუდესის ჯგუფის საბადოები).

სუბდეუცირებული ფილის ჩრდილოვერგენტულ ტრანსფორმაციას ქვედა იურაში, უკავშირდება კავკასიონის სამხრეთ ფერდზე მანტიური დიაპირის შემოჭრა, ბეკარკის წარმოშობა და განაპირა ზღვის ფორმირება. მასთან დაკავშირებულია ტოლეიტური ვულკანიზმი და ფილიზ-ჩაის ჯგუფის საბადოთა პირიტ-ქალკოპირიტ-სფალერიტ-პიროტინული გამადნება. სამხრეთით, საქართველოს ბელტის ფარგლებში, მას წინ უძლოდა ნორმული სუბდეუქცია და ლოქისა და ძირულის გრანიტ-მეტამორფულ კომპლექსზე ზედდადებული გვიან-პალეოზოურ-ქვედა იურული ასაკის კირ-ტუტე ვულკანური აქტივობა კუნძულთა რკალურ ვითარებაში და ლოქი-ყარაბახის ზონაში (მცირე კავკასიონი) კირტუტე ბაზალტ-ანდეზიტ-დაციტური ვულკანიზმი.

ლოქი-ყარაბახის ზონაში ნორმული სუბდეუქცია და კირტუტე ვულკანური აქტივობა ზედა იურაშიც გრძელდება. იგი წარმოდგენილია ანდეზიტ-დაციტ-რიოლითური სერიით, რომელსაც ოქრო-სპილენძპოლიმეტალური გამადნება ახლავს (საბადოები

შამლუგი, ალავერდი, გედაბეკი და სხვა). უფრო ჩრდილოეთით, ამიერ კავკასიის მთათაშუეთის (საქართველოს ბელტი) ფარგლებში, ზედა იურაში სუბდუცირებულმა ფილამ განიცადა ტრანსფორმაცია და მას უკავშირდება მძლავრი ტოლეიტ-ტუტებაზალტური-ტრაქიტული ვულკანური სერიის ფორმირება.

მსგავსი ვითარება ისახება ზედა ცარცშიც. ართვინ-ბოლნისის ზონის ფარგლებში, ნორმულ სუბდუქციას და კუნძულთა რკალურ ვითარებას უკავშირდება კირტუტე ანდეზიტ-დაციტ-რიოლითური ვულკანიზმი და ოქრო - სპილენძპოლიმეტალური მინერალიზაცია (მადნეულისა და დაგქესემანის საბადოები). ჩრდილოეთისკენ, საქართველოს ბელტის ფარგლებში სუბდუცირებულმა ფილამ ინტენსიური ტრანსფორმაცია განიცადა და აქ იგი გამოვლინდა ბეკარკებისათვის დამახასიათებელ პიკრიტ-ბაზალტურ, ტუტე ოლივინიან ბაზალტურ და ტრაქიანდეზიტ-ტრაქიტულ ვულკანიზმში ულტრატუტე ფონოლითური ექსტრუზიებით.

ნორმული სუბდუქციის ტრანსფორმაციას ადგილი ჰქონდა ეოცენშიც. აჭარა-თრიალეთის ინტერარვის ფორმირებას ტოლეიტ-ბაზალტური აქტივობით, სამხრეთით - თურქეთის პონტიდებისა და ართვინ-ბოლნისის ზონის რეგიონებში, წინ უძღვდა ნორმული სუბდუქცია კირ-ტუტე ვულკანიზმითა და ოქრო-სპილენძპოლიმეტალური გამადნებით.

კავკასიისა და ბულგარეთის სრედნეგორიეს ფარგლებში კარგად იკითხება სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული დიაპირის შემოჭრის ინტენსივობის ცვალებადობა ვერტიკალურად აღმავალ ჭრილში. ეს კარგად დასტურდება აჭარა-თრიალეთისა და ბოლნისის მადნიანი რაიონის მაგალითებზე. კერძოდ, აჭარა-თრიალეთის დასავლურ სეგმენტში, რიფტის ფორმირების დასაწყისში ქვედა ეოცენში ვულკანიზმი შოშონიტ-ტრაქიანდეზიტურია, შემდეგ შუა ეოცენში რიფტინგი ძლიერდება, რაც ტოლეიტ-ტუტებაზალტური ვულკანიზმით დასტურდება, ხოლო ზედა ეოცენში ადგილი აქვს რიფტინგის შესუსტებას და ბოლოს სრულ ჩაქრობას, რაც კვლავ შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური ვულკანიზმით

სრულდება. თუ ტოლეიტ-ბაზალტურ სერიას შეა ეოცენში ფონური ეპიდოტ - ცოიზიტური მაღალტემპერატურული პროპოლიტიზაცია ახლავს, ზედა ეოცენში შოშონიტ-ტრაქიანდეზიტურ სერიაში ქლორიტ-ალბიტური და ცეოლიტური პროპილიტიზაცია ფიქსირდება. ფონური პოსტმაგმური პროცესის ტემპერატურული ზონალობა აქ, დროში სითბური ნაკადის ტემპერატურის ვარდნით და უფრო ღრმა დონეზე დიაპირიზმით აიხსნება.

სხვა ვითარება ისახება ბოლნისის მადნიანი რაიონის ფარგლებში, აქ მადნეულისა და ბექთაკარის მადნიან კვანძებზე, აღმავალ ჭრილში ვერტიკალურად მანტიური დიაპირიზმი ძლიერდება და მისი შემოჭრის სიღრმე მცირდება. სანტონური ასაკის მადნეულის საბადო ნორმულ სუბდუქციას უკავშირდება და კუნძულთა რკალურ ვითარებაში ფორმირდება, ხოლო მისი მომიჯნე ბექთაკარის საბადო კამპანურ ტრაქიდაციტურ წყებაშია ლოკალიზებული, რომელსაც თავზე ადევს ტუტე ბაზალტებით და ტრაქიანდეზიტებით წარმოდგენილი ზედა კამპანური ასაკის შორშოლითის წყება, გეოქიმიური და პეტროქიმიური კრიტერიუმებით იგი ბეკარკული ვითარებისთვისაა დამახასიათებელი, რაც იმას მოწმობს, რომ აქ დროში აღმავალ ჭრილში ფილის ტრანსფორმაცია ძლიერდება. მსგავსი ვითარება ისახება ბალკანებშიც (ბულგარეთის სრედნეგორიე), სადაც აღმავალ ჭრილში ნორმული სუბდუქცია, სუბდუცირებული ფილის დეფორმაციის შედეგად ბეკარკის საწყის სტადიაში გადადის.

კავკასიის რეგიონში, აჭარა-თრიალეთის და ტალიშის რიფტული ზონების ფორმირების მაგალითზე, მკაფიოდ ისახება, სუბდუცირებული ფილის ლატერალური ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ვულკანიზმის, პოსტვულკანური პროცესის და მაღანწარმოშობის მონაცვლეობა.

აჭარა-თრიალეთის რიფტი ლატერალურად დასავლეთისკენ შავი ზღვის მცირე ოკეანურ აუზს უერთდება, რომელიც ოფიოლიტებითაა წარმოდგენილი და მანტიური დიაპირის კიდევ უფრო ინტენსიურ შემოჭრას უკავშირდება, რაც

ინტერარკის მცირე ოკეანურ ვითარებაში გადასვლას ასახავს. ამავე დროს, შავი ზღვის მცირე ოკეანური აუზი ლატერალურად დასავლეთი მიმართულებით ტოლეიტ-ბაზალტური სერიით აგებულ ბურგასის ბეკარკულ რიფტი გადადის, რაც ამ მიმართულებით მანტიური დიაპირის შემოჭრის შესუსტებით უნდა იყოს გამოწვეული. მსგავსი ვითარება ისახება ტალიშის რეგიონში (აზარბაიჯანი) აქ ტოლეიტ-სუბტუტე ბაზალტით წარმოდგენილი ბეკარკი მიმართებით აღმოსავლეთით, კასპიის ზღვის მცირე ოკეანური აუზის ოფიოლიტებს უერთდება და აჭარა-თრიალეთის რიფტის ანალოგიურად ვითარდება. თუმცა გარკვეული განსხვავებაც ფიქსირდება. აჭარა-თრიალეთში შუა ეოცენური ტოლეიტ-ბაზალტური სერია, აღმავალ ჭრილში, ზედა ეოცენში შოშონიტ-ტრაქიანდეზიტულ წყებაში გადადის, რაც დროში რიფტინგის შესუსტებას ადასტურებს, ხოლო ტალიშში შუა ეოცენურ ტოლეიტ-ბაზალტურ სერიას თავზე ადევს ზედა ეოცენური ქვიშაქვების დასტა, რომელსაც დუნიტ-პერიდოტიტული შტოკები ჰქვეთენ, რომლებიც ოკეანურ ვითარებას ახასიათებს და აქ აღმავალ ჭრილში, აჭარა-თრიალეთისგან განსხვავებით, მანტიური დიაპირის ზემოქმედების უფრო მაღალი დონე დასტურდება.

საკვლევ რეგიონში პოსტკოლიზიური ვითარება ტეთისის ოკეანის კოლიზიისა და სრული დახურვის შემდეგ, აფრო-არაბეთის კონტინენტის ევრაზიის აქტიურ კიდეზე წნებით არის განპირობებული. მეტალოგენია აქ კონტროლდება ნაოჭა-რღვევითი ზონებით და სინოროგენული ოლიგოცენ-მიოცენური გრანოდიორიტული ინტრუზული შტოკებით.

საკვლევ რეგიონში პოსტკოლიზიური პროცესი ორ ეტაპადაა წარმოდგენილი. პირველი ეტაპი ოლიგოცენ-მიოცენით თარიღდება და ნაოჭა-სხლეტვითი სტრუქტურების ფორმირებას და სინოროგენულ ინტრუზულ აქტივობას უკავშირდება, ხოლო მეორე ეტაპი პოსტმიოცენურია და შოშონიტ-ტრაქიანდეზიტურ და ტოლეიტ-ტუტებაზალტურ ვულკანურ აქტივობაში ვლინდება და მას გამადნება არ უკავშირდება, ხოლო პოსტკოლიზიური პროცესის პირველ ეტაპს

ტექტონოგენეზით და ინტრუზული აქტივობით კონტროლირებადი მნიშვნელოვანი გამადნება ახლავს. იგი წარმოდგენილია ოქრო-სპილენძ-პოლიმეტალური და ეპითერმული მცირე სულფიდური და უსულფიდო გამადნებით. მადანი, პოლიმეტალების დაბალი შემცველობის ფონზე, ოქროთია გამდიდრებული, რომელსაც ახლავს იშვიათ მეტალთა - Sb, W, Mo და Hg ასოციაცია. აქ გავრცელებულია ოქროს შემცველი ანტიმონითის, შეელიტის, ვოლფრამიტის და ვერცხლისწყლის საბადოები და მადანგამოვლინებები. აღსანიშნავია, რომ იშვიათ მეტალთა ეს ასოციაცია არ მონაწილეობს პრეკოლიზიური ვითარების მინერალიზაციაში. იშვიათ მეტალთა შორის მხოლოდ მოლიბდენი მონაწილეობს კუნძულთა რკალებთან დაკავშირებულ მადნებში, თუმცა უმნიშვნელოვანესი მოლიბდენის საბადოები (კაჯარანი და აგარაკი) პოსტკოლიზიური ვითარებით კონტროლდება. ოქროსა და იშვიათ მეტალთა წყაროს ოროგენის სიალური ქერქი წარმოადგენს. მათი გამოტუტვა ხდება ოროგენის მძლავრი სიალური ქერქიდან მაღალტემპერატურული ფლუიდური ნაკადით, მაღალი წნევის პირობებში. ეს ნაკადები ღრმა მაგმური კერებიდან მოედინება და მათი ფორმირება სუბდიცირებული ფილის პოსტკოლიზიურ ტრანსფორმაციას უკავშირდება. საკვლევი რეგიონის პოსტკოლიზიურ ვითარებაში დადგენილია ხსენებულ იშვიათ მეტალთა მაღალი გეოქიმიური ფონი შემცველ ქანებში.

პოსტკოლიზიური ოლიგოცენ-მიოცენური გრანიტოიდული, გრანოდიორიტ-პორფირული და დაციტ-პორფირული მაგმატიზმი საკვლევი რეგიონის და ევრაზიის აქტიური კიდის დიდ ფართზე ფიქსირდება. კერძოდ ირანის, კავკასიის და თურქეთის რეგიონებში. მას ახლავს ოქრო-სპილენძპოლიმეტალური და მცირე სულფიდური ოქროს გამადნება თანმხლებ იშვიათ მეტალთა (Sb, W, Mo და Hg) ასოციაციით, რომელიც პოსტკოლიზიური ვითარების გეოქიმიურ ინდიკატორს წარმოადგენს. ეს ინტრუზული აქტივობა ყველგან ოლიგოცენ-მიოცენით თარიღდება, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აფრო-არაბეთის კონტინენტის წნებით ევრაზიის კიდეზე გამოწვეული პოსტკოლიზიური პროცესი

ოლიგოცენ-მიოცენში იწყება და შემდგომ პოსტმიოცენ-მეოთხეულ ვულკანურ აქტივობაში გრძელდება, თანმხლებ ოროგენეზისთან და ტექტონიკური მეოთხეულისთან ერთად, რომელთანაც ნაოჭა-სხლეტვითი სტრუქტურების ფორმირებაა დაკავშირებული.

იშვიათ მეტალთა ეს ასოციაცია უკავშირდება ოქროს უმდიდრეს პოსტკოლიზიურ საბადოებს, როგორც ევრაზიის ოქრო-სპილენძპოლიმეტალურ სარტყელში (მურუნტაუს საბადოთა ჯაფი ტიანშანის პროვინციაში), ისე ტომბსტონის ოქროს ველზე (კანადა) და ლაჩლანის ოროგენულ ოქროს საბადოებში (ავსტრალია) და სხვა. ამდენად ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ იშვიათ მეტალთა ასოციაცია (Sb, W, Mo და Hg), ზოგადად, პოსტკოლიზიური ვითარების მკაფიო ინდიკატორს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ პოსტკოლიზიური ვითარების ამ ეტაპის მკაფიო გეოქიმიური მახსიათებელი აქამდე არ იყო ცნობილი, განსხვავებით პრეკოლიზიური ვითარებისგან, სადაც კუნძულთა რკალური, ბეკარკული და ოკეანური სიტუაციები ხასიათდება მკაფიო გეოქიმიური კრიტერიუმებით (Sr^{87}/Sr^{86} , Pb^{206}/Pb^{204} , ქონდრიტული და იშვიათ მიწა ელემენტების შემცველობა და სხვა). ამავე დროს, არ არსებობდა მკაფიო გეოქიმიური მახასითებლები პრეკოლიზიური და პოსტკოლიზიური ვითარების გასამიჯნად, რადგან პოსტკოლიზიური პროცესები ზედადებულია პრეკოლიზიური ვითარების ქანებზე. ამდენად, იშვიათ მეტალთა ასოციაცია (Sb, W, Mo და Hg), რომელიც განსაზღვრავს პოსტკოლიზიური ვითარების გეოქიმიურ ფონს და რომელიც არ ახასიათებს პრეკოლიზიურ ვითარებას, წარმოადგენს პოსტკოლიზიური სიტუაციის პირველი ეტაპის მკაფიო გეოქიმიურ ინდიკატორს, რაც პოსტკოლიზიურ ვითარებაში მსოფლიოს სხვა რეგიონების მონაცემებითაც დასტურდება.

ძირითადი დასკვნები

1. საკვლევი რეგიონის ფანეროზოული გეოდინამიკური განვითარება პრეკოლიზიურ ეტაპზე და მისი კავშირი რეგიონალურ მეტამორფიზმთან, მაგმატიზმთან, ვულკანიზმთან, პოსტვულკანურ პროცესთან და მეტალოგენიასთან განპირობებულია ჩრდილო ვერგენტულ სუბდუქციით და სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციით. ხოლო პოსტკოლიზიურ სტადიაზე იგი დაკავშირებულია ოროგენეზთან, ნაოჭა-სხლეტვით ტექტონიკასთან, სინოროგენულ მაგმატიზმთან და ოროგენის ქვეშ სუბდუცირებული ფილის პოსტსუბდუქციურ ტრანსფორმაციასთან.
2. სუბდუქციის პირველ ეტაპს, სუბდუცირებული ფილიდან ანდეზიტური მლლვარის გამოდნობამდე, სუბდუცირებულ ფილის მანტიაში დაძირვის პროცესში, აღმავალი სითბურ-ფლუიდური ნაკადის ზემოქმედება ლითოსფეროზე, რეგიონალურ მეტამორფიზმს განაპირობებს. ამ ეტაპზე ხდებოდა გრანულიტული, ალმანდინ-ამფიბოლიტური მაღალტემპერატურული ფაციესების ფორმირება. რეგიონალური მეტამორფიზმის ტემპერატურა $350-750^{\circ}\text{C}$ ფარგლებში მერყეობს, ამ ტემპერატურაზე გრანიტული მაგმის გამოლლობაც არის შესაძლებელი და გრანიტ-მეტამორფული კომპლექსის ფორმირებაც. ანდეზიტური მლლვარის გამოლლობის შემდეგ, რომლის ტემპერატურა $1000-1100^{\circ}\text{C}$ -მდეა, იწყება კირ-ტუტე ვულკანური აქტივობა კუნძულთა რკალური ვითარების პირობებში. ეს პროცესი ნორმული სუბდუქციითაა განპირობებული. კირ-ტუტე ვულკანური სერია გრანიტ-მეტამორფულ კომპლექსზეა ზედდადებული. რეგიონალური მეტამორფიზმი დროში, წინ უსწრებს კირ-ტუტე ვულკანურ აქტივობას და ორივე ნორმული სუბდუქციის ეტაპით კონტროლდება.
3. სუბდუქციის პროცესში ხდება სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაცია (დეფორმაცია, გასკდომა, დეტაქტიური და დელამინაცია), რომელმაც განაპირობა მანტიური დიაპირის შემოჭრა და რიფტინგი ბეკარვ-ინტერარკულ ვითარებაში, შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური ვულკანიზმით საწყის ეტაპზე, ხოლო დიაპირის

შემოჭრის გაძლიერება ტოლეიტ-ტუტებაზალტურ ვულკანიზმში, თუთია-სპილენძის მინერალიზაციაში და ეპიდოტ-ცოიზიტურ ფონურ პროპოლიტიზაციაში გამოიხატა.

4. ფილის ტრანსფორმაციის ინტენსიფიკაციამ და მანტიური დიაპირის შემოჭრის შემდგომმა გაძლიერებამ, სპრედინგი და ბეკარკის ოკეანურ ვითარებაში გადასვლა განაპირობა, რომელიც გამოვლინდა ოფიოლიტური ტიპის ვულკანურ აქტივობაში და ულტრაფუძე დუნიტ-პერიდოტიტულ მაგმატიზმში. მას ახლავს მაღალ-ტემპერატურული ფონური ეპიდოტ-ცოიზიტ-ქტინოლითური პროპილიტიზაცია და სერპენტინიზაცია. გამადნება ამ ვითარებში, კვიპროსის ტიპის სპილენძ-კოლჩედანური მადნითაა წარმოდგენილი.

5. ამგვარად, სხვადასხვა გეოდინამიკურ ვითარებას სხვადასხვა ტიპის გამადნება უკავშირდება. ამავე დროს, ამ ვითარებაში სიალური, ბაზალტური ქერქისა და მანტიის მონაწილეობის სხვადასხვა დონე ისახება. ამ ინფორმაციის ანალიზმა მოგვცა საშუალება ვივარაუდოთ ოქროს, ტყვიის, სპილენძის და თუთიის წყარო ფანეროზოულ ქერქსა და მანტიაში. ოკეანურ ვითარებაში, იქ სადაც, მადანწარმოშობის პროცესში მხოლოდ მანტია მონაწილეობს სპილენძ-კოლჩადანური გამადნებაა ცნობილი. ამით დასტურდება, რომ სპილენძის წყარო მანტიაა. ინტერარკულ და ბეკარკულ ვითარებაში, იქ სადაც, მადანწარმოშობის პროცესში მონაწილეობს მანტია და ბაზალტური ქერქი, თუთია-სპილენძის გამადნება ფიქსირდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თუთიის წყაროს ბაზალტური ქერქი წარმოადგენს. კუნძულთა რკალურ სიტუაციაში, მადანწარმოშობაში სიალური ქერქიც მონაწილეობს ბაზალტურ ქერქთან და მანტიასთან ერთად და გამადნება აქ ოქროს, ტყვიის, თუთიას და სპილენძს შეიცავს. აქედან ვასკვნით, რომ ტყვიისა და ოქროს წყარო სიალური ქერქია. ოქროს და იშვიათ მეტალთა Sb, Mo, W და Hg კომპლექსის განსაკუთრებით მაღალი შემცველობით ხასიათდება პოსტკოლიზიური ვითარება, რომელიც ოროგენული სიალური ქერქის დიდი სიმძლავრეებით

ხასიათდება, რაც იმას ადასტურებს, რომ ოქროს და იშვიათ მეტალთა წყარო სიალური ქერქია.

6. პრეკოლიზიურ ვითარებაში, გეოდინამიკური განვითარების პროცესში მასთან დაკავშირებული მეტამორფიზმის, მაგმატიზმის, ვულკანიზმის, პოსტვულკანური და მადანწარმოშობის პროცესები დროსა და სივრცეში მონაცვლეობს. იგი სუბდუქციისა და სუბდუცირებული ფილის ტანსფორმაციის შედეგია და სამი მიმართულებით ხორციელდება:

I - სუბდუცირებული ფილის დაძირვის მიმართულებით სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ; II - დაძირვის მიმართ ლატერალურად აღმოსავლეთიდან-დასავლეთისაკენ და III - აღმავალ ჭრილში ვერტიკალური მიმართულებით.

- დაძირვის მიმართულებით სუბდუქციის პროცესში რეგიონალური მეტამორფიზმი დროში, წინ უსწრებს ანდეზიტური მლლვარის გამოდნობას და კირ-ტუტე ვულკანიზმს. კუნძულთა რკალურ პირობებში, მას ახლავს ფონური ცეოლითური პროპილიტიზაცია და ოქრო-სპილენდპოლიმეტალური გამადნება. სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაციის და მანტიური დიაპირის შემოჭრის შედეგად იგი ბეკარვინტერარკული რიფტინგით, ტოლეიტ-ტუტებაზალტური და შოშონიტ-ტრაქი-ანდეზიტური ვულკანიზმით ხასიათდება. ტოლეიტ-ტუტებაზალტურ ვულკანურ აქტივობას მაღალტემპერატურული ფონური ეპიდოტ-ცოიზიტური პროპილიტიზაცია და სპილენდ-თუთიის VMS ტიპის გამადნება უკავშირდება. ტრანსფორმაციის გაძლიერება მანტიური დიაპირის უფრო მაღალ დონეზე შემოჭრასთან ერთად ოკეანურ ვითარებას განაპირობებს ოფიოლიტური ვულკანიზმით, ულტაფუძე დუნიტ-პერიდოტიტული ინტრუზული აქტივობით, ფონური ეპიდოტ-ცოიზიტ-აქტინოლითური პროპილიტიზაციითა და სერპენტინიზაციით და სპილენდკოლჩედანური კვიპროსის ტიპის გამადნებით.

- სუბდუცირებული ფილის დამირვის მიმართ ლატერალური ტრანსფორმაცია, რომელთანაც მანტიური დიაპირის შემოჭრის სხვადასხვა ინტენსივობაა დაკავშირებული, რაც განაპირობებს ოკეანური, ინტერარკბეკარკული და კუნძულთა რკალური ვითარების მონაცვლეობას, მათვის დამახასიათებელი ვულკანიზმით, მაგმატიზმით, პოსტვულკანური პროცესით და მეტალოგენით, რომელიც ფილის დამირვის მიმართულებით ზემოაღწერილი მოვლენების ანალოგიური მონაცვლეობით ხასიათდება. საკვლევ რაიონში აჭარა-თრიალეთის ინტერარკი დასავლეთისკენ შავი ზღვის მცირე ოკეანურ აუზს უერთდება, რომელიც მიმართებით ბურგასის ბეკარკულ რიფტს უერთდება. თვით აჭარა-თრიელეთის ზონაში შუა ეოცენური ინტერარკული რიფტი ტოლეიტ-ბაზალტური ვულკანიზმითაა წარმოდგენილი. იგი აღმოსავლური მიმართულებით რიფტინგის შესუსტების შედეგად შოშონიტურ-ტრაქიანდეზიტური ვულკანიზმით ნაცვლდება, რომელიც თავის მხრივ, აღმოსავლეთისკენ ანდეზიტური ვულკანური აქტივობით იცვლება, რაც რიფტინგის ჩაქრობას და ინტერარკის კუნძულთა რკალურ ვითარებაში გადასვლას ადასტურებს. უფრო აღმოსავლეთით კი აზერბაიჯანში, ტალიშის რიფტი ლატერალურად კასპიის ზღვის მცირე ოკეანურ აუზს უერთდება.
- სუბდუქციის ხასიათის ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული მოვლენები ვერტიკალურად, აღმავალ ჭრილშიც იცვლება. აჭარა-თრიალეთის ზონის დასავლურ სეგმენტში (აჭარა-გურიის რეგიონი) ინტერარკული რიფტინგის საწყისი სტადია ქვედა ეოცენური შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური სერიითაა წარმოდგენილი, აღმავალ ჭრილში, მას შუა ეოცენური ტოლეიტ-ტუტებაზალტური სერია ანაცვლებს, რომელსაც მაღალტემპერატურული ეპიდოტ-ცოიზიტური პროპილიტიზაცია ახლავს, ზედა ეოცენში კი, იგი კვლავ შოშონიტ-ტრაქიანდეზიტური ვულკანიზმით

ნაცვლდება, რომელიც რიფტინგის შესუსტებას ასახავს. ტალიშის რიფტის ზონაში შუა ეოცენური ტოლეიტურ სერიას ზედა ეოცენში ოკეანური ვითარებისთვის დამახასიათებელი ულტრაფუძე დუნიტ-პერიდოტიტული მაგმატიზმი ცვლის, რაც მანტიური დიაპირის შემოჭრის გავლენის გაძლიერებაზე მეტყველებს. გარდა ამისა, ბოლნისის მადნიან რაიონში, ვერტიკალურად აღმავალ ჭრილში და დროში კუნძულთა რკალური ვითარება ბეკარკით იცვლება. იგივე მოვლენები ბულგარეთის სრედნეგორიეშიც ფიქსირდება.

7. პოსტკოლიზიური განვითარების ეტაპზე, ოკეანის დახურვის შემდეგ, სუბდუქციის პროცესი სრულდება, თუმცა ოროგენების ქვეშ გრძელდება სუბდუცირებული ფილის ტრანსფორმაცია, რომელიც იწვევს ფლუიდური ნაკადის წარმოშობას, სიალური ქერქიდან გრანიტოიდული მაგმის გამოლლობას, გრანოდიორიტ-დაციტურ ინტრუზიულ აქტივობას მიოცენ-ოლიგოცენში და ოროგენებში ნაოჭა-სხლეტვითი სტრუქტურების ფორმირებას, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კონტინენტის პასიური კიდის აქტიურ კიდეზე წნეხით გამოწვეული პოსტკოლიზიური პროცესის დასაწყისი ოლიგოცენ-მიოცენით თარიღდება და პლიოცენ-მეოთხეული ვულკანიზმით გრძელდება. ეს ინტრუზივები და ნაოჭა-სხლეტვითი ზონები აკონტროლებს პოსტკოლიზიურ გამადნებას, რომელიც წარმოდგენილია პორფირული ოქრო-პოლიმეტალური მინერალიზაციით და მცირესულფიდური ოქროს შემცველი კვარც-ანთიმონიტურ, კვარც-შეელიტურ, ვოლფრამიტულ და ვერცხლისწყლის შემცველ კვარცის ძარღვებისა და მათი შტოკვერკების ფორმირებით. გამადნებას, როგორც პორფირულს, ისე ეპითერმულ-მცირესულფიდურს, მადანმომიჯნე ზონაში, ყოველთვის ახლავს იშვიათ მეტალთა ასოციაცია, წარმოდგენილი Sb, Mo, W და Hg, რომელიც დიდ ფართზეა გავრცელებული, გამადნებას აკონტროლებს და ოქროს სამიებო ინდიკატორს წარმოადგენს. იშვიათ მეტალთა ეს ასოციაცია არ ფიქსირდება პრეკოლიზიურ ვითარებაში. ერთადერთ გამონაკლისს Mo წარმოადგენს, რომელიც კუნძულთა

რკალურ გამადნებაში მონაწილეობს. იშვიათ მეტალთა ეს ასოციაცია პოსტკოლიზიურ ვითარებაში დიდ ფართზეა გავრცელებული და ზოგადად ამ ვითარების გეოქიმიურ ფონს ქმნის. აღსანიშნავია, რომ პრეკოლიზიური ეტაპის სხვადასხვა ვითარების საღი ქანები მკაფიო გეოქიმიური კრიტერიუმებით ხასიათდება (Sr^{87}/Sr^{86} , Pb^{206}/Pb^{204} იშვიათ მიწა მეტალებისა და ქონდრიტული ელემენტების შემცველობა და სხვა). პოსტკოლიზიური ვითარება პრეკოლიზიური ვითარების ქანებზეა ზედადებული, ამდენად იშვიათ მეტალთა ეს ასოციაცია აქ წარმოადგენს პოსტკოლიზიური ვითარების მკაფიო გეოქიმიურ ინდიკატორს და მას ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოსტკოლიზიური ვითარების დადასტურებისთვის რეგიონში. იშვიათ მეტალთა ეს ასოციაცია მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის პოსტკოლიზიური ვითარების გამადნებას უკავშირდება.

კავკასიასა და თურქეთში (აღმოსავლეთ ანატოლია) პოსტკოლიზიურ ეტაპზე, პლეისტოცენ-მეოთხეულში ანდეზიტური, შოშონიტური და ტოლეიიტ-ბაზალტური ვულკანური აქტივობაა ცნობილი, რომელიც პეტროქიმიურად პრეკოლიზიური ვულკანიზმის ანალოგიურია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზოგ უბანზე სუბდუცირებული ფილის ძლიერი ტრანსფორმაციის შედეგად, მანტიური მასალის მონაწილეობა დასტურდება. აქედან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ აქაც ვერტიკალურად აღმავალ ჭრილში, გარკვეულ ეტაპზე, მანტიური დიაპირის შემოჭრა ხდება, რაც ტოლეიიტ-ბაზალტურ ვულკანურ აქტივობაში ვლინდება. აქაც გრანოდიორიტული მაგმატიზმი, დროში სუბდუცირებული ფილის დესტრუქციის გაძლიერებასთან და მანტიური მასალის შემოჭრასთან ერთად შოშონიტ-ტრაქიანდეზიტურ და ტოლეიიტ-ბაზალტური ვულკანიზმით ნაცვლდება, თუმცა, პრეკოლიზიურისგან განსხვავებით, მას არ ახასიათებს რიფტინგი და მადანწარმოშობა.

